ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედური ანგარიში

აგვისტო, 2012

თბილისი

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის გაზრდა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ იმ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიის განმტკიცებისა და მშვიდობის წინაპირობას საქართველოში.

ანგარიში მომზადებულია მიხეილ შარაშიძის და ნესტან ლონდარიძის მიერ

რედაქტირებულია უჩა ნანუაშვილის და ალეკო ცქიტიშვილის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, ფონდს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“(NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს.

ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორების შეხედულებებს.

National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world
THE NORWEGIAN HELSINKI COMMITTEE

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის, ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“(NED) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ.

შინაარსი

I. მონიტორინგის მიზანი ---------- 4

II. საარჩევნო პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგია ---------- 5

III. მონიტორინგის სახელმძღვანელო სტანდარტები ----------7

IV. პოლიტიკური გარემოს მოკლე ანალიზი ---------- 10

V. საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა ---------- 13

VI. წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული ფაქტები -----37

- *პოლიტიკური ნიშნით დევნა* ----------37
- *ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონო ხელის შეშლა-52*
- *ზეწოლა ბიზნესზე* ----------57
- *ზეწოლა კერძო მესაკუთრეებზე* ----------60
- *სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის საქმიანობა* ----------61

VII. დასკვნა ---------- 71

I. მონიტორინგის მიზანი

არჩევნები არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ - კენჭისყრის დღეს განვითარებულ მოვლენას. მონიტორინგის დროს, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული და გაანალიზებული იყოს ყველა ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შეადგენს მთლიან საარჩევნო პროცესს და ზეგავლენას ახდენს მისი სამართლიანობის ხარისხზე. ამიტომ ჩვენი დაკვირვება მიმდინარეობს მთლიან საარჩევნო პროცესზე, რაც ხორციელდება უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, რეგიონული ქსელის მეშვეობით, მოხდა არჩევნების მონიტორთა დიდი ჯგუფის ორგანიზება, რომლებიც დედაქალაქში და რეგიონებში სწავლობენ მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესს და ოპერატიულად რეაგირებენ არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა მოვლენაზე. მათ მიერ შეგროვებული ინფორმაცია ყოველდღიურად თავს იყრის თბილისის ოფისში, სადაც ხდება ამ მასალის ანალიტიკური დამუშავება და მათზე სხვადასხვა, მათ შორის - სამართლებრივი რეაგირებები. მონიტორების მიერ წინასაარჩევნო პროცესის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მზადდება დეტალური ანგარიშები, რომლებიც ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

გარდა ამისა, ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი: (+995 32) 2 45 45 33; (+995 32) 2 37 69 50, რომელზეც მორიგეობენ ცენტრის იურისტები და კონსულტაციას უწევენ არჩევნებში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს, ასევე - უზრუნველყოფენ ჩვენი ორგანიზაციის დამკვირვებლების სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას შესაბამის დარღვევებზე. ამასთან, საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალის მოწოდება შესაძლებელია სპეციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც - archevnebi2012@gmail.com . პერიოდულად მიმდინარეობს საინტერესო მასალის

განთავსება ცენტრის ვებ-გვერდზე: www.humanrights.ge და ვიდეო-პორტალზე: www.hridc.tv

სპეციალური სემინარების მეშვეობით მომზადდებიან მოკლევადიანი დამკვირვებლები უშუალოდ კენჭისყრის პროცესზე დასაკვირვებლად.

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორთა მიერ შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე მომზადდება დასკვნითი ანგარიში, სადაც გაანალიზებული იქნება მთელი საარჩევნო პროცესი - შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოში აშშ-ის საელჩოს და ფონდის "ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED)" ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან დაიწყო. ცენტრს ადამიანის უფლებების მონიტორინგში ასევე მხარდაჭერას უწევს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი.

II. საარჩევნო პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებათა ცენტრი წინასაარჩევნო გარემოს გრძელვადიან მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ჟურნალისტებისა და იურისტების რეგიონული ქსელის მეშვეობით, დაკვირვება მიმდინარეობს ისეთ საარჩევნო დარღვევებზე, როგორიცაა: პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა, დევნა და მუქარა; წინასაარჩევნო შეხვედრებისა და ჟურნალისტური საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა; ზეწოლა ბიზნესსა და კერძო მესაკუთრეებზე; აგრეთვე, მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების იმ საქმიანობაზეც, რომელიც კავშირშია საარჩევნო პროცესთან და რომელსაც შეუძლია მასზე ზეგავლენის მოხდენა, ასევე - არჩევნებთან დაკავშირებულ, სხვა სახის საარჩევნო დარღვევებზე.

მონიტორინგის პროცესში, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს როგორც ჩვენი რეგიონული ქსელის მიერ მოგროვებული და გადამოწმებული ინფორმაცია, ასევე, მედიასაშუალებების, სხვადასხვა დაინტერესებული პირების (მათ შორის საარჩევნო სუბიექტების) მიერ მიღებული და სახელმწიფო ორგანოებისაგან მოპოვებული ინფორმაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობს, მის ანგარიშებში მოხვდეს მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია. იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება შეუძლებელია, ხოლო ინფორმაციის მომწოდებელი უარს ამომბობს თავისი პიროვნების გამჟღავნებაზე, ამგვარი ფორმით მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია ანგარიშებში აისახება მხოლოდ ამ პირობების მითითებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ხშირად შესაბამისი ინფორმაციის წყარო, მისი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ამჯობინებს შეინარჩუნოს ანონიმურობა.

მონიტორინგის პროცესში, ასევე, მოხდება შემოსული ინფორმაციის ანალიზი (მათ შორის - სამართლებრივი) და იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, ან დარღვეული უფლებების აღდგენა, ცენტრი საკუთარი რესურსებით ეცდება, უშუალოდ ჩაერთოს ამ საკითხების მოგვარებაში, ან სხვაგვარი ფორმით გაუწიოს დახმარება დაინტერესებულ პირებს.

მართალია, უშუალოდ არჩევნების მონიტორინგის პროექტის განხორციელება ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2012 წლის 1 ივლისიდან დაიწყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს მიერ მომზადებულ ანგარიშებში ასევე აისახოს ის მოვლენებიც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2012 წლის ივლისამდე და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღესაც ახდენს ან უკვე მოახდინა განსაკუთრებული პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ზეგავლენა საარჩევნო პროცესის ამა თუ იმ ეტაპის სამართლიანობაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებს ადამიანის უფლებათა დარღვევის სისტემატიურ მონიტორინგს და წინამდებარე ანგარიშში სწორედ ამ მონიტორინგის შედეგებია შესული. ამიტომ, ძირითადად, პირველ შუალედურ და დასკვნით

ანგარიშებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ოქტომბრის არჩევნებამდე თითქმის ერთწლიან პერიოდში მომხდარი, ის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენებიც, რომლებიც უშუალო კავშირშია მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის ერთ-ერთი დამფუძნებელი **კოალიციისა „არჩევნის თავისუფლებისთვის“,** რომელიც 2011 წლის 17 ნოემბერს შეიქმნა. კოალიციის წევრები არიან: სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს მედიაკლუბი, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი, სამოქალაქო განათლების რესურს-ცენტრი, ირაკლი მელაშვილი - ექსპერტი საარჩევნო საკითხებში, ზვიად ქორიძე - მედიაექსპერტი. კოალიციის შექმნის მიზანია, სხვადასხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა, საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების გაერთიანებით, ხელი შეუწყონ ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ფორმირებას.

III. მონიტორინგის სახელმძღვანელო სტანდარტები

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი საარჩევნო კანონმდებლობის კონკრეტული დარღვევები შეფასებულია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ზემოქმედებს თითოეული, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად - წინასაარჩევნო გარემოს სამართლიანობაზე. ანალიზის მიზანია, განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები დემოკრატიული არჩევნებისათვის სავალდებულო საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. კერძოდ, გამოვლენილი დარღვევების პირობებში, რამდენად არის უზრუნველყოფილი რეალურად კონკურენტული წინასაარჩევნო გარემო, რომელიც განაპირობებს ამომრჩევლის მიერ რეალური და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების

შესაძლებლობას. ამასთან, რამდენად თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ წინასაარჩევნო პირობებში უწევთ საქმიანობა შესაბამის საარჩევნო სუბიექტებს და მათ მხარდამჭერებს.

ამრიგად, შეფასების სტანდარტად გამოყენებულია დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოსათვის სავალდებულო შემდეგი სახელმძღვანელო სტანდარტები, რომლებიც განაპირობებენ სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით სრულყოფილ საარჩევნო პროცესს:

1. ***რეალურად კონკურენტული წინასაარჩევნო გარემო*** - დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ამომრჩევლებისთვის რეალური პოლიტიკური არჩევანი, რამდენად რეალურად განხორციელებადია მათი უფლება, შეცვალონ არსებული ხელისუფლება. თუ არჩევნები ტარდება უალტერნატივო გარემოში და შესაბამისი ოპოზიციური პარტიებისა და კანდიდატების მიმართ ხორციელდება უსამართლო და დაუსაბუთებელი შეზღუდვები, ან თუ ამომრჩეველს არ გააჩნია რეალური საშუალება, გადაირჩიოს ხელისუფლებაში მყოფი პირები, მაშინ ეჭვქვეშ დგება მთლიანად არჩევნების სანდოობა და ნამდვილობა. არჩევნები, რეალურად უნდა წარმოადგენდნენ იმგვარ ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია.[1]

   როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „***მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა, მიაღწიონ ცვლილებებს არჩევნების გზით: ერთი მხრივ, ყველა ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი. ამ თვალსაზრისით თითოეულს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს მთელ საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და მის შედეგებზე გავლენის მოხდენის ერთნაირი გარანტიები; ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს თუ ცალკეულ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა, ამომრჩეველს შესთავაზონ რეალური პოლიტიკური არჩევანი. კანონმდებლობა***

[1] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=624&action=show

უნდა იძლეოდეს საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ პოლიტიკურ უმცირესობას ჰქონდეს რეალური შანსი, გახდეს უმრავლესობა, ანუ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს უმცირესობის უნარების თვითრეალიზაციისთვის უმრავლესობასთან თანაბარ გარანტიებს, რათა, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ძალთა, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მხარდამჭერთა შეჯიბრი პოლიტიკურ პროცესში თანაბარ პირობებში წარიმართოს."[2]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ მაღალ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტად სამართლიანი საარჩევნო პროცესი.

2. *თავისუფალი წინასაარჩევნო გარემო* - ნიშნავს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცულია მთელი საარჩევნო პროცესის პერიოდში. ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ პარტიას და სხვა საარჩევნო სუბიექტებს გარანტირებული უნდა ჰქონდეს შემდეგი მინიმალური უფლებები: აზრის გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება. საარჩევნო პროცესი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ოპონენტების დაშინების, მათ წინააღმდეგ ძალადობის, მათ შორის - პოლიტიკური ოპონენტების სამართლებრივად არასაკმარისად დასაბუთებული ადმინისტრაციული თუ სასამართლო წესით დევნისაგან. ამგვარი ფაქტის არსებობის შემთხვევაში კი, დევნის აუცილებლობა უნდა აკმაყოფილებდეს დასაბუთებულობის საკმაოდ მაღალ სტანდარტებს. მედიასაშუალებებისათვის უნდა შეიქმნას ყველანაირი პირობები, რათა მათ თავისუფლად გააშუქონ საარჩევნო პროცესი, ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციებმა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განახორციელონ არჩევნების მონიტორინგთან დაკავშირებული საქმიანობა, რათა საარჩევნო პროცესი იყოს გამჭვირვალე და ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ კონტროლს.

---

[2] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=624&action=show -საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".*

3. *სამართლიანი და თანასწორი წინასაარჩევნო გარემო* - ასევე ნიშნავს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი სახელმწიფომ უნდა ჩააყენოს თანაბარ მდგომარეობაში. სრული თანასწორობის მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, გამომდინარე სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების განსხვავებული, მათ შორის - ადმინისტრაციული და ფინანსური შესაძლებლობებიდან, მაგრამ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ამ, შეიძლება ითქვას, თავისთავად არსებულ უთანასწორობას არ დაუმატოს კიდევ უფრო დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი დისკრიმინაცია. კანონი არ უნდა უშვებდეს ამგვარ დისკრიმინაციას და იგი ყველასთან მიმართებით ობიექტურად უნდა გამოიყენებოდეს.

ამრიგად, იმისათვის, რათა წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი მიმართული იყოს სწორი და ადეკვატური შეფასებებისკენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყველა ქვემოთ განხილული პრობლემა გავაანალიზოთ ზემოაღნიშნული სტანდარტების ჭრილში, რაც საბოლოო ჯამში, მოგვცემს მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესის, მეტ-ნაკლებად უფრო ადეკვატურ სურათს.

IV. პოლიტიკური გარემოს მოკლე ანალიზი

იმისათვის, რათა სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესის თაობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია იმ პოლიტიკური სიტუაციის მოკლე მიმოხილვა, რომლის ფონზეც მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტის არჩევნები დანიშნა 2012 წლის პირველ ოქტომბერს.

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება ახალი საარჩევნო კანონმდებლობის პირობებში. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსის პროექტზე მუშაობის დასრულებას წინ უსწრებდა 8 ძირითადი ოპოზიციური პარტიის (ე.წ. „ოპოზიციური რვიანის“) გაცხადებული სურვილი, ხელისუფლებასთან დიალოგის გზით, მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კანონმდებლობისა და სისტემის სრულყოფაში. პირველ ეტაპზე შეინიშნებოდა გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით, თუმცა საბოლოოდ, საარჩევნო

სისტემაზე ფართომაშტაბიანი პოლიტიკური შეთანხმება არ იქნა მიღწეული და ე.წ. "ოპოზიციური რვიანი" დაიშალა.

არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე, პოლიტიკურ პროცესებში გამოჩნდა ახალი ოპოზიციური გაერთიანება - "ქართული ოცნების" სახელწოდებით და ძლიერი ფინანსური საშუალებებით ("ქართული ოცნების" ლიდერია საქართველოს უმდიდრესი ადამიანი - მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი). კოალიცია "ქართულ ოცნებაში" გაერთიანდა ძირითადი ოპოზიციური პარტიების ნაწილი, რამაც შექმნა მმართველი პარტიის - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეალური საარჩევნო ალტერნატივა - პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თაობაზე ***"ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში"*** გამოთქმული ზოგიერთი შეფასება. კერძოდ, ***"...ქართული პოლიტიკისთვის ჩვეულ დამახასიათებელ ნიშნად იქცა ის გარემოება, რომ დომინანტურ მმართველ პარტიას უპირისპირდება დანაწევრებული ოპოზიცია..."*** და, რომ ***"...21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიცია კვლავ დანაწევრებული იყო..."***[3]. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამგვარი დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებამ, დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მომავალი საპარლამენტო არჩევნების რეალურად კონკურენტულ გარემოში ჩატარებაზე. თუმცა, ერთია რეალური პოლიტიკური კონკურენცია, ხოლო სხვა არის ის პოლიტიკური-სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი კონკურენციისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი პირობების შექმნას.

ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა დონეზე დომინირებს ერთი, მმართველი პარტია - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - რის გამოც, ხშირ შემთხვევებში, ძალზედ რთულია გაიმიჯნოს ხელისუფლების საქმიანობა მმართველი პოლიტიკური გუნდის საარჩევნო

[3] http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/33301

ინტერესებით ნაკანახევი საქმიანობისაგან, განსაკუთრებით კი - წინასაარჩევნო პერიოდში. ამიტომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო დაპირისპირებაში ასევე ჩართულია ხელისუფლების ორგანოებიც, რაც, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე. ***როგორც მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში*** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მაინა კიაის მოხსენებაშია აღნიშნული, ***„ვიდრე არ იქნება ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის, ეს კვლავ პრობლემად დარჩება და დაძაბულობასა და განხეთქილებებს გამოიწვევს.“***[4]

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (რომელსაც 2011 წლის 27 დეკემბერს მიენიჭა პოლიტიკური პარტიების ფინანსებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება) განსაკუთრებული გააქტიურება, რაც, ასევე უკავშირდება ახალი, ძლიერი ფინანსური პოტენციალის მქონე ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების გამოჩენას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა უმეტეს შემთხვევებში, ნეგატიურად არის შეფასებული სხვადასხვა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის - რომელსაც 2011 წლის 27 დეკემბერს კონტროლის პალატა ეწოდებოდა - პარტიათა არასახელმწიფო ფინანსებზე ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭება, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა, საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანოსათვის მინიჭებულ კომპეტენციასთან.

წინასაარჩევნო გარემო კიდევ უფრო დაამძიმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის ხელმძღვანელად არა ნეიტრალური პიროვნების, არამედ, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის დანიშვნამ. პროკურატურისადმი ნდობა კი, მისი სავარაუდოდ ზედმეტად პოლიტიზირების გამო, ნაკლებად აქვს ძირითად ოპოზიციურ ძალებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

[4] http://www.ungeorgia.ge/userfiles/files/Press%20Statement%20-%20SR%20FoAA%20Georgia%20Mission.pdf

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური გარემო არის მკვეთრად პოლარიზებული, ხოლო საარჩევნო პროცესი ხშირად მიმდინარეობს რადიკალური დაპირისპირებების ფონზე, რაშიც, არც თუ იშვიათად, ხელისუფლების ორგანოებიც არიან ჩართულნი და ნეგატიურ როლს ასრულებენ. მისასალმებელია, რომ საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა და ფუნქციონირებს უწყებათაშორისი კომისია. თუმცა, როგორც წინასაარჩევნო პროცესიდან ჩანს, იგი არასაკმარისად აქტიურია და მის საქმიანობას აქამდე არ მოუცია რეალური და საგრძნობი ეფექტი.

ამრიგად, წინასაარჩევნო პროცესი მიმდინარეობს საკმაოდ ძლიერი დაპირისპირებების ფონზე, რასაც ხშირად უფრო ნეგატიური - ურთიერთბრალდებების ფორმები გააჩნია და ამასთან, იგი კიდევ მეტად მწვავდება, არჩევნების მოახლოებასთან ერთად. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ამ დაპირისპირებას უფრო პოზიტიური ფორმა ჰქონდეს და კონცენტრირებული იყოს უშუალოდ საარჩევნო სუბიექტების რეალურ პოლიტიკურ პროგრამათა შორის კამათზე.

V. საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა

დემოკრატიულად ორგანიზებული საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი არის ის, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირება ყოველთვის ხდება არჩევნების გზით. არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმგვარი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ამავე დროს, მხოლოდ კარგი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობა არ არის გადამწყვეტი არჩევნების სამართლიანობის განსაზღვრისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ სრულდება კანონმდებლობა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციის მიერ.

საქართველოში არჩევნების საკანონმდებლო ბაზა შედგება კონსტიტუციისგან (1995), საქართველოს საარჩევნო კოდექსისგან (საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მიღებულია 2011 წლის 27 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2012 წლის 10 იანვარს), "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისაგან, ასევე სისხლის სამართლის კოდექსისგან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებისგან.

არჩევნებამდე 8 თვით ადრე საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით მიიღო ახალი ორგანული კანონი - "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", ასევე, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება პარტიათა დაფინანსების შეზღუდვის და ამომრჩეველთა მოსყიდვის საკითხებს.

ახალი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ძირითად სიახლეებს წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს პარლამენტი - 150–წევრიან პარლამენტში, 4 წლის ვადით, აირჩევა 77 დეპუტატი პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, აქამდე არსებული 75/75–ზე შეფარდების ნაცვლად.

პარლამენტის საარჩევნო სისტემა, მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის უთანაბრობა, რაც, უკვე დიდი ხანია, ვენეციის კომისიის შეშფოთების საგანსაც წარმოადგენს, პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.[5] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობებში დაშვებული განსხვავებები, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, არ უნდა აღემატებოდეს 10-15%-ს[6]. მიუხედავად ამისა, საქართველოს საარჩევნო ოლქების 82%-ში ეს მოთხოვნა დარღვეულია. ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქებში მერყეობს 6 000-დან 160 000-მდე (2010 წლის

[5] http://www.osce.org/odihr/86401
[6] http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.asp

ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციით)[7]. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაჟორიტარულ არჩევნებთან მიმართებით, დარღვეულია არჩევნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - ხმათა თანასწორობის პრინციპი, რის გამოც, საქართველოს ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს უსამართლოდ შეზღუდული აქვს უფლება, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ეუთოს საბოლოო ანგარიშში[8] და ასევე, ვენეციის კომისიის 2011 წლის 19 დეკემბრის დასკვნაში[9], სახელმწიფოს მხრიდან არ გადადგმულა არანაირი ნაბიჯი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ამდენად, საარჩევნო უფლების ეს უმნიშვნელოვანესი დარღვევა კვლავ აქტუალურია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვისაც. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი და "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისი დებულებები ამომრჩევლის ხმათა თანასწორობის პრინციპს, ზემოაღნიშნული პრობლემის თვალსაზრისით, არ იცავენ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის ასეთი განსხვავებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილ თანასწორობის პრინციპს და წარმოადგენს ამომრჩეველთა დისკრიმინიციას *"...საცხოვრებელი ადგილის"*[10] მიხედვით.

ზემოთაღნიშნულ პრობლემას ნაწილობრივ უკავშირდება, ასევე, შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულად ცნობის წესი. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 125-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ***"მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში***

[7] http://www.cesko.ge/files/2012/PARLAMENTIS%20ARCHEVNEBI/amomrchevlebis_raodenoba.pdf
[8] http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/33301
[9] http://www.osce.org/odihr/86401
[10] "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, *საცხოვრებელი ადგილისა.*"

მონაწილეთა ხმების 30 პროცენტისა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.". საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად კი, *"1. თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა, ცესკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება პირველი ტურიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ 2-ზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან 1 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში ყველა ზემოაღნიშნული კანდიდატი მონაწილეობს. 2. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა ერთნაირი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, იმართება ხელახალი არჩევნები.".*

ამრიგად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების 30%-სა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში, ისევე როგორც პროპორციული წესით კენჭისყრის შემთხვევაში, არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

საქართველოში არსებული მრავალპარტიული სისტემის გათვალისწინებით, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ხმები დაქუცმაცდეს და არჩევნებში გამარჯვებულად 30% მხარდაჭერის (ან მეორე ტურის შემთხვევაში, უფრო ნაკლები მხარდაჭერის) მქონე პირი გამოცხადდეს, იმის მიუხედავად რომ ამომრჩევლის 70% მისი წინააღმდეგია. ეს ორმხრივად უსამართლოა - ერთი, დეპუტატი ხდება პირი, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს და მეორე - თუ ერთ პარტიას 30%-თან ახლოს მყოფი რეიტინგი აქვს, მას აქვს შანსი პარლამენტში 70% უმრავლესობით მოვიდეს. ამ

თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო კვლევა გამოქვეყნდა ერთ-ერთი ქართული ჟურნალის ინტერნეტ-პორტალზე[11].

მიგვაჩნია, რომ მაჟორიტარული არჩევნების ამგვარი სისტემა საკმაოდ უსამართლოა და იგი ეწინააღმდეგება ამომრჩეველთა ხმების თანასწორობის პრინციპს.

"საქართველოს საარჩევნო კოდექსმა" გაითვალისწინა ე.წ. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მონაწილეობა მაჟორიტარულ არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ წინა საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებდა ამის შესაძლებლობას და ამ მხრივ, ეს საკანონმდებლო სიახლე, უდავოდ, მისასალმებელია.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, *"საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი. აღნიშნულ დეპოზიტზე შეტანილი თანხა კანდიდატს სრულად უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის არჩევნებში მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტს მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში".*

ამრიგად, საქართველოს ახალმა საარჩევნო კოდექსმა გაითვალისწინა ე.წ. "საარჩევნო თავდების" ინსტიტუტი. ზოგადად, შესაძლოა, ამ ინსტიტუტს მართლაც გააჩნდეს ლეგიტიმური მიზანი - დაიცვას არჩევნები ე.წ. ზედმეტად არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისაგან, მაგრამ ქართული კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი გირაო სავალდებულოა მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ

[11] იხ. http://blogs.liberali.ge/ge/blog/1631/112112/

წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის და არ არის სავალდებულო პარტიის, ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თუკი დამოუკიდებელი კანდიდატისადმი არსებობს კანონიერი ინტერესი, არჩევნები დაცული იქნეს თავიდანვე უპერსპექტივო სუბიექტებისაგან, რატომ არ არსებობს ამგვარი კანონიერი ინტერესი, იგივე, პერსპექტივის არ მქონე პარტიებისა და ბლოკების მიერ წარდგენილი კანდიდატებისათვის?! მიგვაჩნია, რომ ამგვარი შეზღუდვის გავრცელება არჩევნებში თანაბრად მონაწილე საარჩევნო სუბიექტთაგან მხოლოდ ერთის მიმართ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილ თანასწორობის პრინციპს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ერთ-ერთი დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატის მომართვის საფუძველზე, მომზადდა შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი, რომლიც საარჩვევნო სუბიექტობის შესაბამისმა კანდიდატმა შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში[12]. სარჩელში, ასევე, მოთხოვნილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეაჩეროს "საარჩევნო თავდების" შემცველი საკანონმდებლო დებულების მოქმედება, რისი უფლებაც საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

აქტიური საარჩევნო უფლება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მიეცათ იმ პატიმრებს, ვისაც ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში იგულისხმება ის დანაშაული, რომელიც მაქსიმალურ სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არაუმეტეს 5 წლის ვადით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩატარების პირობები. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი

[12] კონსტიტუციური სარჩელი - "საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"

არჩევნებში მონაწილე პატიმრებისათვის წინასაარჩევნო აგიტაციის და ზოგადად, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატების ინფორმაციით, შესაბამის პატიმრებს ციხეებში შეზღუდული აქვთ პრესის ხელმისაწვდომობა[13]. ამგვარ ვითარებაში, შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, თუ რამდენად ექნებათ პატიმრობაში მყოფ ამომრჩევლებს საშუალება, გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ციხეებში შესაბამის ამორჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა და როგორ მოხდება ჩატარებულ არჩევნებზე მონიტორინგი. ადამიანის უფლებათა ცენტრი აპირებს, მომავალშიც დეტალურად შეისწავლოს ეს პრობლემა.

საარჩევნო ადმინისტრაცია. უცვლელი დარჩა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. სამივე დონის კომისია შედგება 13 წევრისგან. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ექვსი წევრი, მათ შორის - თავმჯდომარე, არჩეულია პრეზიდენტის წარდგინებით და მის შემადგენლობაში შედის დამატებით 7 წევრი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებიდან - ანუ შესაბამისი პარიტებიდან . იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ხელისუფლების ყველა დონეზე დომინირებს ერთი მმართველი პარტია, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი კი ოფიციალურად არის აღნიშნული პარტიის თავმჯდომარე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში ფაქტობრივ უმრავლესობას კვლავ ფლობს იგივე - მმართველი პარტია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარეს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარების ერთპიროვნული უფლება გააჩნია, ისევე როგორც მაჟორიტარი კანდიდატების დარეგისტრირების შემთხვევაში - შესაბამისი საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს. თუმცა, ადრე რეგისტრაციას შესაბამისი კომისიები ახორციელებდნენ. გაუგებარია, რა ლეგიტიმურ მიზანს ისახავდა კანონმდებელი, როდესაც ცვლიდა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარების წესს. მიგვაჩნია,

[13] http://www.ekhokavkaza.com/content/article/24666182.html

რომ საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც კოლეგიალური ორგანოა, არ მოქმედებს ამ პრინციპით, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის 2011 წლის 19 დეკემბრის რეკომენდაციას[14]. საარჩევნო ადმინისტრაციის კოლეგიურობასთან დაკავშირებით შენიშვნები ასევე გამოთქმული იყო, 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თაობაზე ***ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშშიც.***

ამომრჩეველთა სიები. ცესკო კვლავაც ვალდებული იქნება, ორჯერ - საარჩევნო პერიოდის დასაწყისსა და კენჭისყრის დღემდე თავის ვებ–გვერდზე გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში და ყოველ საარჩევნო ოლქში.

კოდექსი ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე კომისიას 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩვნებისთვის ერთიანი სიის დაზუსტების ვადას 1 აგვისტომდე უხანგრძლივებს, მანამდე განსაზღვრული 1 ივლისის ნაცვლად. ამ კომისიას ასევე აქვს უფლებამოსილება, რომ აგვისტოდან სიების ცესკოში გადაცემის შემდეგაც, შეეძლოს იმ ცვლილებათა გაკონტროლება, რასაც ცესკო სიაში, არჩევნებამდე არაუგვიანეს მე–14 დღისა შეიტანს. ცესკო ვალდებულია, სიებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ „დაუყოვნებლივ“ აცნობოს კომისიას.

საბიუჯეტო დაფინანსების მქონე ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე კომისია, რომელიც კოდექსის თანახმად, უშუალოდ 2012 წლის საპარლამენტოს არჩევნებისთვის არის შექმნილი, თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით დაკომპლექტებულია არანაკლებ 15 წევრით, ნაცვლად თავდაპირველად კანონით განსაზღრული არანაკლებ 21 წევრისა. თუმცა, ამჟამად კომისიაში 21 წევრი მუშაობს.

კომისიის მიერ 2012 წლის პირველი აგვისტოს მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 3,621,256[15]. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები

[14] http://www.osce.org/odihr/86401
[15] http://www.cesko.ge/files/2012/PARLAMENTIS%20ARCHEVNEBI/amomrchevlebis_raodenoba.pdf

ამომრჩეველთა რაოდენობის ცვალებადობის თაობაზე ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება თვითონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე[16]:

1990	წლის	28	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	444	000
1991	წლის	26	მაისის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	594	810
1992	წლის	11	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	471	866
1995	წლის	5	ნოემბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	121	075
1999	წლის	31	ოქტომბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	143	851
2000	წლის	9	აპრილის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	088	925
2003	წლის	2	ნოემბრის	საპარლამენტო	არჩევნები	-	**3**	**178**	**593**
2004	წლის	4	იანვრის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	2	231	986
2004	წლის	28	მარტის	საპარლამანტო	არჩევნები	-	2	343	087
2006	წლის	5	ოქტომბრის	ადგილობრივი	ორგანოს	არჩევნები	-	3	205	634
2008	წლის	5	იანვრის	საპრეზიდენტო	არჩევნები	-	3	527	964
2008	წლის	21	მაისის	საპარლამენტო	არჩევნები	-	3	465	736
2010	წლის	30	მაისის	ადგილობრივი	ორგანოს	არჩევნები	-	3	544	770

კომისიის მიერ დადგენილი ამომრჩეველთა რაოდენობა ბოლო 22 წლის განმავლობაში არის ყველაზე მეტი, და იგი აღემატება 1990 წლის ანალოგიურ მონაცემებს, თუმცა იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა ოფიციალური სტატისტიკით თითქმის ერთი მილიონი ადამიანით მეტი იყო, ვიდრე დღეს (1990 წელს - 5,424.400, ხოლო 2012 წლის იანვარში - 4,497,600)[17] . ამასთან, მხედველობაშია მისაღები 2003, 2004 წლების არჩევნებიც, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა იყო დაახლოებით 2 მლნ 300 ათასი. საყურადღებოა ისიც, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ამომრჩეველთა არაზუსტი, „გაბერილი“ სიები იქცა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამომრჩეველთა რაოდენობამ საგრძნობლად დაიკლო (2004 წ.) 2006 წლამდე.

[16] http://www.cec.gov.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf
[17] http://geostat.ge/

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის შემდეგ, დღეის მდგომარეობით, ამომრჩეველთა რაოდენობა გაზრდილია თითქმის 1 მლნ 300 ათასით, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ, მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ასევე, უნდა მოხდეს შესაბამისი კომისიის მუშაობის უფრო ეფექტური მონიტორინგიც. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არასამთავრობო ორგანიზაცია "ამომრჩეველთა ლიგის" მონაცემებიც, რომელიც პარალელურ დათვლას აწარმოებს და უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს.

წინასაარჩევნო აგიტაცია. წინასაარჩევნო აგიტაციის საკითხებს, ძირითადად აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილი კვლავ შეიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვას უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის 28 ივნისს საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსში" შევიდა დამატება. კერძოდ, 185[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ აგრეთვე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რიგ მოქალაქეებს.[18] აღნიშნულიდან გამომდინარე, 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით, უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის წინასაარჩევნო აგიტაციის გათვალისწინებული აკრძალვა, კიდევ უფრო გაუგებარია.

არჩევნების დღეს აგიტაციას კვლავ უშვებს ახალი საარჩევნო კოდექსი, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ ნებისმიერი სახის წინასაარჩევნო საქმიანობა არჩევნებამდე 24 საათით ადრე შეწყვეტილიყო[19]. ამასთან, ვენეციის კომისიის იგივე დასკვნის მიხედვით, გარკვევით უნდა მომხდარიყო იმ ობიექტების განსაზღვრა, რომლებშიც დაუშვებელია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და მას დამატებოდა, ასევე, შესაბამისი საარჩევნო კომისიები, თუნდაც, მხოლოდ, კენჭისყრის დღეს მაინც. ამ თვალსაზრისით 2012 წლის ივნისში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და

[18] ***"2014 წლის 1 იანვრამდე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვს პირს, რომელიც დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და საქართველოს კონსტიტუციის 104[4] მუხლის ამოქმედების მომენტისათვის აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა."***

[19] http://www.osce.org/odihr/86401

კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, კენჭისყრის შენობაში აიკრძალა წინასაარჩევნო აგიტაცია, მაგრამ მხოლოდ კენჭისყრის დღეს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი აკრძალვა არასრულყოფილია და საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა შენობაში მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში უნდა იყოს აკრძალული წინასაარჩევნო აგიტაცია. ამასთან, კოდექსით გათვალისწინებული აკრძალვა ძალაში შევა მხოლოდ კენჭისყრის დღის წინა დღის ბოლოს, ხოლო შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რამდენად აუცილებლად მოხდება, მაგალითად, წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მათ შორის - გუბერნატორებს და გამგებლებს, კვლავაც ექნებათ აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა ორგანო დაკომპლექტებულია ერთი პოლიტიკური მმართველი პარტიის - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" - წევრებით. ამდენად, საჯარო მოხელეებისათვის, უშუალოდ სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულების პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვის მონიტორინგი საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან, საკანონმდებლო დებულებიდან ძნელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რა პირობები უნდა მივიჩნიოთ, ან რას მიიჩნევენ შესაბამისი თანამდებობის პირები უშუალოდ სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებისაგან თავისუფალ დროდ. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსის ეს აკრძალვები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათი ზედმიწევნითი დაცვა, ან მისი გაკონტროლება, საკმაოდ რთული იქნება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, დადებითად არ იმოქმედოს საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა კოდექსში. საქართველოს ორგანული კანონის - "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, აკრძალულია შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება:

"ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება".

ამგვარად, ადმინისტრაციულ რესურსებთან მიმართებით კოდექსს გააჩნია ამგვარი მიდგომები:

შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსის - კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ დაკავებული შენობების გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებსაც აქვთ იგივე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა. ამგვარი საკანონმდებლო დებულება საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან არ შეიცავს ამგვარი შენობების სამართლებრივად უფრო ზუსტ განსაზღვრებას. ამავე დროს, კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებში აღნიშნულია, რომ *"7. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო ხელისუფლების ან*

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. 8. საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტებისთვის, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებების გამართვის განრიგს (თუ მოხდა ღონისძიებათა გადაფარვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდებიან, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება)".

ამრიგად, ამ შემთხვევაში საუბარია, რომ საარჩევნო სუბიექტებთან შეთანხმებით, საოლქო საარჩევნო კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მისთვის გამოყოფილ შენობა-ნაგებობებში ადგენს საარჩევნო სუბიექტების მიერ გასამართ საარჩევნო ღონისძიებათა განრიგს. ე.ი. აქ გათვალისწინებულია ზუსტად ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც გამოყოფილია შესაბამისი სუბიექტების (მათ შორის - მმართველი პარტიის) საარჩევნო ღონისძიებათა გასამართად. ამდენად, გაუგებარია, კიდევ რა შენობების გამოყენებაზეა საუბარი 48-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტში. ამ შემთხვევაში, პრინციპში, დაშვებულია დამატებითი შესაძლებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული კიდევ სხვა შენობების (გარდა 45-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული შენობებისა), ანუ დამატებითი "ადმინისტრაციული რესურსის" - გამოყენებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსის ეს დებულება არ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას.

იგივე შეიძლება ითქვას, სატრასნპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების უსასყიდლო, ან შეღავათიანი პირობებით გამოყენების აკრძალვაზე. ამ შემთხვევაში, კანონით არ არის განსაზღვრული თუ რა უნდა ვიგულისხმოთ შეღავათიან პირობებში, იმ დროს, როდესაც ბევრ საჯარო მოხელეს, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო აგიტაციაში, უსასყიდლოდ ემსახურება სახელმწიფო მანქანა. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პირობითი აკრძალვების დარღვევის დადასტურება საკმაოდ რთულია - თუ არა შეუძლებელიც კი.

კოდექსის 88-ე მუხლი ითვალისწინებს საკმაოდ დაბალ და არაადეკვატურ ჯარიმას წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისას, მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისათვის - 2000 ლარის ოდენობით. მხედველობაშია მისაღები, რომ სანქცია გათვალისწინებულია მხოლოდ ***"წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას"*** და არა, კოდექსის 49-ე მუხლში თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებასთან ერთად აკრძალული "საბიუჯეტო თანხების" წინასაარჩევნოდ გამოყენებასთან მიმართებით. არადა, იგი ისევეა აკრძალული, როგორც ჩვენს მიერ ნახსენები სხვა მოქმედებები.

ამასთან, კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბიუჯეტო თანხების წინასაარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევაში, ***"უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება."*** . საქართველოს საარჩევნო კოდექსის არც იგივე და არც სხვა სპეციალური მუხლები არ განმარტავენ, თუ ვინ იგულისხმება აღნიშნულ უფლებამოსილ პირებში და შესაბამისად ვის გააჩნია უფლება, გაასაჩივროს ამგვარი მოქმედება.

მაგალითად, კოდექსის 78-ე მუხლი მოიცავს საარჩევნო დავებს და იმ მოსარჩელეთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ, გაასაჩივრონ არჩევნებთან დაკავშირებით წარმოშობილი კანონდარღვევები. ამ მუხლში, თითქმის ყველა სადავო საკითხთან მიმართებით დადგენილია შესაბამისი მოსარჩელეთა წრე. თუმცა, იქ არ არის ნახსენები 49-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევები. ასევე, კოდექსის 93-ე მუხლი განსაზღვრავს სამართალწარმოების საკითხებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თითქმის ყველა შემთხვევისათვის, მაგრამ მასში არ არის ნახსენები კოდექსის 88-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია ***წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა.***

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ რესურსში უნდა ვიგულისხმოთ ხელისუფლების მიერ ყველა იმ სახელმწიფო უფლებამოსილებათა გამოყენება, რომლებიც მიმართულია არჩევნების შედეგზე ზემოქმედებისაკენ - ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენება, მისი ინტენსივობის გათვალისწინებით, საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს საარჩევნო პროცესზე. ვინაიდან, იგი ხელსუწყობს ხელისუფლების ორგანოთა დაკომპლექტებას არა არჩევნების გზით, არამედ, ხელისუფლების შენარჩუნებას, რა დროსაც არჩევნები, მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენს.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ყოველთვის არ იგულისხმება, აუცილებლად სახელისუფლებო მატერიალური რესურსები. ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, სხვადასხვა კერძო საწარმოები იძულებულნი არიან არაპირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის თუ კანდიდატის წინასაარჩევნო აგიტაციაში.

ამდენად, ადმინისტრაციულ რესურსში უნდა მოვიაზროთ ყველა ის სახელისუფლებო ტექნოლოგია, რომლებიც მიმათულია უშუალოდ არჩევნებზე ზემოქედებისაკან, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგი ფორმები:

1. ე.წ. ***ძალოვანი რესურსები*** - როდესაც ხდება ხელისუფლების შესაბამისი სამართლადამცავი, ძალოვანი, ან საზედამხედველო ორგანოთა გამოყენება არჩევნების შედეგებზე პირდაპირი თუ არა პირდაპირი ზემოქმედების მიზნით;
2. ე.წ. ***რეგულაციური რესურსი*** - ანუ საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამოყენება;
3. ***საკანონმდებლო რესურსის*** - გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება იყენებს თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს კონკრეტული პოლიტიკური

ჯგუფისათვის გარკვეული საარჩევნო უპირატესობების მინიჭების ან პირიქით, შეზღუდვის თვალსაზრისით;

4. ***ფინანსური რესურსი*** - როდესაც ხდება უშუალოდ საბიუჯეტო ხარჯების გამოყენება არჩევნებში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლოდ;
5. ე.წ. ***მედია რესურსი*** - როდესაც ხდება სახელისუფლებო, ან სხვაგვარად ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებული მედია საშუალებების ბოროტად გამოყენება.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი საკმაოდ არაეფექტურია ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის, სამსახურეობრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების და საბიუჯეტო თანხების წინასაარჩევნო ხარჯვის აკრძალვის თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნაწილში კოდექსში ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომელშიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება ექნებათ პარტიებს, ხოლო სხდომებზე შესაძლოა მიიწვიონ ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. კომისია იქმნება არჩევნების წლის 1 ივლისს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში, ის ფუნქციონირებას არჩევნების დანიშვნიდან 3 დღის ვადაში იწყებს. კომისია, რომლის მსგავსიც რამდენიმე წინა არჩევნებზეც ფუნქციონირებდა, იხილავს საკითხებს, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე - დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც კომისიას აწვდიან საარჩევნო სუბიექტები ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. კოდექსში ნათქვამია, რომ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია, მხოლოდ ***„რეკომენდაციით***

მიმართოს“ შესაბამის ორგანოს, *„გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით“*.[20]

მედია და არჩევნების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების კუთხით, საარჩევნო კოდექსში სიახლეს წარმოადგენს დებულება, რომლის მიხედვითაც, ფასიანი სარეკლამო დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს; კვლავაც ძალაში რჩება რეგულაცია უფასო დროის გამოყოფის თაობაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ, თუნდაც მხოლოდ ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდში საკაბელო მაუწყებლების დავალდებულება, მომხმარებელს შესთავაზონ, ასევე არასახელისუფლებო ტელემაუწყებლები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკაბელო მაუწყებლები ფარავენ მხოლოდ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც თავმოყრილია, ძირითადად, მსხვილ ქალაქებში. იმ დროს, როდესაც ქალაქგარეთ, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის, რაც საერთო ამომრჩევლების თითქმის 50%-ზე მეტს შეადგენს, ალტერნატიული ინფორმაციის საშუალებად კვლავ რჩება სატელიტური ანტენები.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ე.წ. must carry-ის წესების მოქმედებისათვის საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-17 ნაწილით დადგენილი ვადები, რაც გულისხმობს მის შეწყვეტას არჩევნების წინა დღეს, არაგონივრულია და სრულად ვერ ასახავს საზოგადოებრივ ინტერესს. არჩევნებთან მიმართებით, მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას განგრძობითად, ვინაიდან მას არ გააჩნია მხოლოდ ამომრჩევლის წინასაარჩევნოდ ინფორმირების ფუნქცია, პლურალისტული მედიაგარემო, ამავე დროს, არის არჩევნების მთლიანი პროცესის გამჭვირვალობის და მისდამი ნდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. წინასაარჩევნოდ მედიაგარემოს კვლევის თაობაზე შესაბამისი ანგარიში გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ცენტრმა, რომელის ნახვაც შესაძლებელია ორგანიზაციის ვებ-გვერზე.[21]

[20] საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 48-ე მუხლის მე-9 ნაწილი

ახალმა საარჩევნო კოდექსმა, წინა კოდექსისაგან განსხვავებით, არ გაითვალისწინა შესაბამის საარჩევნო უბნებზე ე.წ. ვიდეოთვალის დამონტაჟება ვიდეომონიტორინგის მიზნით. მიგვაჩნია, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯია, კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების თვალსაზრისით.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ***"ადგილობრივი დამკვირველელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი…".*** ამრიგად, კოდექსით, დადგენილია არჩევნებზე შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მსურველი ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომლის ლეგიტიმური მიზანი, კოდექსში არ არის ახსნილი და ამდენად გაუგებარია. აღნიშნული შეზღუდვის მართებულობაზე ეჭვი გამოთქვა აგრეთვე ვენეციის კომისიამაც, საარჩევნო კოდექსის პროექტზე 2011 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნებულ დასკვნაშიც.[22] სავარაუდოა, რომ ამგვარი შეზღუდვა უკავშირდება, კენჭისყრამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, ახალი ძლიერი ოპოზიციური გაერთიანების გამოჩენას, რომელმაც, პირველ რიგში დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია. თუ ხსენებული შეზღუდვის მიზეზი მართლაც ეს გარემოებაა, მაშინ უდავოდ მიუღებელია მსგავსი პრაქტიკის არსებობა.

საარჩევნო სუბიექტთა ფინანსები. საარჩევნო კამპანია ფინანსდება პოლიტიკური გაერთიანების ფონდიდან, ხოლო საარჩევნო ბლოკის შექმნის შემთხვევაში, ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდიდან, თუმცა, ამ შემთხვევაში, ბლოკში შემავალ სხვა პარტიებს შეუძლიათ, შეუზღუდავად გადასცენ კუთვნილი თანხები ბლოკის პირველ ნომერ პარტიის ფონდს. კამპანიის ფონდზე და ხარჯებზე ვრცელდება "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონით დაწესებული შეზღუდვები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებით მიღებული კანონმდებლობა, საქართველოში მოღვაწე უფლებადამცველი

[21] http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/English-2.pdf
[22] http://www.osce.org/odihr/86401

არასამთავრობო ორგანიზაციების[23] უმრავლესობის აზრით, საკმაოდ რადიკალურია და რიგ შემთხვევებში, შეზღუდვები და, განსაკუთრებით კი, ამ შეზღუდვებისთვის გათვალისწინებული სანქციები არათანაზომიერი და არაადეკვატურია. ამასთან, იმავე ორგანიზაციების აზრით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, ზედმეტად ფართო განმარტების საშუალებას იძლევა და, ამავე დროს, შესაძლებელია მათი შერჩევით გამოყენება ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ.

აღნიშნული პრობლემების გამოსწორების მიზნით, კამპანია "ეს შენ გეხებას" ფარგლებში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე, 2012 წლის 8 მაისსა და 22 ივნისს "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.[24] ამ ცვლილებებით, დაზუსტდა და განისაზღვრა რიგი ბუნდოვანებები, რომლებიც შესაძლებელს ხდიდა კანონის არაგონივრულად ფართო განმარტებას, ასევე, პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით მოიხსნა რიგი შეზღუდვები.

2012 წლის მაის-ივნისში ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით, საერთო ჯამში, გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

1. კანონში აღარ არსებობს ე.წ. პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ, ან არაპირდაპირ დაკავშირებულ პირთა ცნება, რომელიც ფინანსური შეზღუდვების გავრცელების შესაძლებლობას იძლეოდა არაგონივრულად განუსაზღვრელად. პოლიტიკური სიმპათიის ან ანტიპათიის საჯაროდ გამოხატვის გამო სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აღარ გააჩნია უფლება, შესაბამის პირს დაუწესოს პოლიტიკური პარტიებისათვის გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები;

2. შევიწროვდა და მკაფიოდ განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდება პოლიტიკური პარტიისათვის დაწესებული ფინანსური შეზღუდვები;

[23] http://esshengexeba.ge/#3
[24] http://esshengexeba.ge/contentimage/shedareba.pdf

3. განისაზღვრა ვადა, თუ რა პერიოდში შიძლება გავრცელდეს შესაბამის პირზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაწესებული შეზღუდვები;

4. მოიხსნა პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვა, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური პარტიის მიერ გაწეული ხარჯის ზედა ზღვარს;

5. განისაზღვრა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ხარჯების ზედა ზღვარის გამოთვლის წესი;

6. თუ პარტიისადმი იმ ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ ერთი წყაროდან, განხორციელებულმა შემოწირულობამ გადააჭარბა 500 000 ლარიან ლიმიტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიას, რომელმაც მიიღო შემოწირულობა, აცნობებს ამ დარღვევის შესახებ. თუკი პარტია ამ შემოწირულობას 5 დღის ვადაში დაუბრუნებს შემომწირველს, არც პარტიას და არც შემომწირველს ჯარიმა არ დაეკისრება;

7. პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა 3 დღიდან 5 დღემდე გაიზარდა;

8. იმ შემთხვევაში, თუ პარტიას არ შეიძლებოდა სცოდნოდა უკანონო შემოწირულობის შესახებ, მაშინ მას ასეთი შემოწირულობის დაბრუნების ვალდებულება წარმოექმნება არა შემოწირულობის მიღების დღიდან, არამედ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი მოთხოვნის მიღების დღიდან;

9. გაუქმდა ნორმა, რომლის საფუძველზეც, შესაბამის საარჩევნო სუბიქტს შეიძლება შეჩერებოდა საარჩევნო რეგისტრაცია, რაც, ფაქტობრივად, არჩევნებიდან მოხსნის ტოლფასი იყო;

10. ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ამ კანონის დარღვევის გამო გათვალისწინებული სანქციის აღუსრულებლობის (ჯარიმის გადაუხდელობის), ან სახდელის აღსრულების სხვაგვარი შეფერხების შეთხვევაში, შესაბამისი პირის ქონებაზე ყადაღის დადება

შესაძლებელია, მხოლოდ სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის პროპორციულად;

11. პოლიტიკურ პარტიას, მის მიერ ფიზიკური პირისთვის 100 ლარამდე ოდენობის დახმარების გაწევის, ან ამ ოდენობის დახმარების მიღების შემთხვევაში, შესაბამის პარტიას და ფიზიკურ პირს აღარ ეკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

12. შესაბამის ფიზიკურ პირზე, პოლიტიკური პარტიის მიმართ ნებისმიერი სახის დახმარების მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ფიზიკურ პირს არ დაეკისრება არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების კანონში შეტანის შემდეგ, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული აკრძალვების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა შედარებით შერბილდა, ხოლო ზოგ შემთხვევებში გაუქმდა კიდევაც. ასევე, კანონი გახდა უფრო მარტივად განჭვრეტადი, რაც მისასალმებელია. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, თუ რამდენად არაგონივრულად მკაცრი იყო კანონის თავდაპირველი რედაქცია და რამდენად ზღუდავდა იგი შესაბამისი პოლიტიკური სუბიექტების უმნიშვნელოვანეს უფლებებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე, თავდაპირველი რედაქცია მოქმედებდა თითქმის 4 თვის განმავლობაში, რამაც, რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პირების მიმართ გამოიწვია გარკვეული იურიდიული შედეგები, რომლებზეც კანონში შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ უმოქმედია.

"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რითაც ჩამოყალიბდა პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული, გამკაცრებული შეზღუდვები, პარტიათა ფინანსებზე ზედამხედველობის განხორციელება დაეკისრა

საქართველოს კონტროლის პალატას (2012 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, კონტროლის პალატას ამჟამად ეწოდება სახელმწიფო აუდიტის სამსახური).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მაშინდელი კონტროლის პალატის ძირითად ფუნქციას განსაზღვრავდა საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თავდაპირველი რედაქციით, საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილებაში შედიოდა, მხოლოდ ***"სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე"*** ზედამხედველობა. კონტროლის პალატის დასახელებული, კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენცია და ასევე, მისი სახელწოდება შეიცვალა მხოლოდ 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური ცვლილებით. 2012 წლის 22 მაისს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება-დამატებების შესაბამისად კი, უკვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურად ჩამოყალიბებულ ყოფილი კონტროლის პალატის კომპეტენციაში შევიდა ***"საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე"*** ზედამხედველობა - ანუ, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების არასახელმწიფო სახსრებზე ზედამხედველობა, მაშასადამე - უფლებამოსილება, რომელსაც ეს ორგანო ისედაც ახორციელებდა 2011 წლის 27 დეკემბერს პარტიათა შესახებ კანონში შესული ცვლილების თანახმად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 22 მაისამდე კონტროლის პალატა ახორციელებდა არაკონსტიტუციურ საქმიანობას, ანუ საქმიანობას, რომელიც არ შედიოდა კონსტიტუციით განსაზღვრულ მის უფლებამოსილებაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული, შესაძლებელია, წარმოადგენდეს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევას და იგი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, ყველა, ამ შესაძლო დარღვევიდან გამომდინარე იურიდიული შედეგების კონსტიტუციურობის თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული - თუ ასევე გავითვალისწინებთ "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანულ კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს შესული ცვლილებების არაგონივრულ სიმკაცრეს - რბილად, რომ ვთქვათ, დადებითად არ მეტყველებს ხელისუფლების წინასაარჩევნო სურვილებზე და მოლოდინებზე. აქვე,

მხედველობაშია მისაღები ის, რომ "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანულ კანონში არსებული გარკვეული საკითხები, რომლებიც თავიდანვე იწვევდა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთებას, კვლავაც ძალაში რჩება.[25]

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის - მაინა კიაის შეფასებები, ზემოაღნიშნული კანონმდებლობით მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე.[26]

საარჩევნო დავები. საარჩევნო დავების განხილვის კუთხით ახალი საარჩევნო კოდექსი აწესებს შესაძლებლობას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ზემდგომ კომისიაში ან პირდაპირ სასამართლოში.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის ზაფხულში ნაციონალურ მოძრაობასა და ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას შორის შეთანხმების შედეგად კოდექსის პროექტში ასახული იყო სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადის 4 დღემდე გაზრდა, ეს დებულება კანონში უკვე აღარ ფიგურირებს და ვადა კვლავ 2 დღე რჩება, რიგ შემთხვევებში კი ის პირიქით შემცირებულია და 1 დღემდე არის დაყვანილი. ამასთან, საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

მიგვაჩნია, რომ დღეს არსებული ფორმით, ხშირ შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა, რათა არჩევნების სასამართლო კონტროლი (სასამართლოებში გასაჩივრებისა და განხილვების წესი) უფრო ეფექტური ყოფილიყო. ასევე, გაზრდილი ყოფილიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების თვალსაზრისით და ასევე, მისდამი საარჩევნო დავებთან დაკავშირებით მიმართვის უფლებამოსილ სუბიექტთა წრე.

ამ მხრივ, მაგალითისთვის, საინტერესოა, რომ ჯერაც განუხილველი რჩება ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც

[25] http://esshengexeba.ge/contentimage/shedareba.pdf
[26] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15054&lang=eng

შეეხებოდა მხოლოდ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის ე.წ. "საარჩევნო თავდების" შენატანის გათვალისწინების კონსტიტუციურობის საკითხს. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს - საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს (დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი) - ბესიკ ადამიას, 2012 წლის სექტემბრამდე ეწურება „საარჩევნო თავდებით" გათვალისწინებული 5000-ლარიანი დეპოზიტის წარდგენის ვადა, რისი გადახდის შესაძლებლობაც მას არ გააჩნია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 45[1] მუხლის თანახმად, *"1. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელთან და კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით სხდომებს, როგორც წესი, მართავს საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების დროს.*

2. საგაზაფხულო სესია იწყება მარტის პირველ ორშაბათს და მთავრდება ივლისის პირველ პარასკევს.

3. საშემოდგომო სესია იწყება სექტემბრის მეორე ორშაბათს და მთავრდება დეკემბრის ბოლო პარასკევს.

4. სესიებს შორის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო ატარებს სხდომას და იღებს შესაბამის განჩინებას, გადაწყვეტილებას ან დასკვნას 'საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ~ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის 'დ~ და 'თ~ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

5. სესიებს შორის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გამართოს სხდომები მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.".[27]

რეგლამენტის აღნიშნული დებულების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს, ბატონი ადამიას კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც შეეხება ზუსტად 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, განიხილოს მინიმუმ, 2012 წლის სექტემბრის მეორე ორშაბათამდე, რის გამოც, სავარაუდოდ, გაშვებული იქნება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საოლქო კომისიაში რეგისტრაციის ვადა. ამ

[27] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1

თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, პრინციპში არაეფექტური აღმოჩნდა მსგავსი დავების დროულად გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა არჩევნების მომწესრიგებელი ქართული კანონმდებლობა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც ახასიათებს კანონმდებლობას არის შემდეგი:

საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის დიდი განსხვავებები, რაც არღვევს ხმათა თანასწორობის პრინციპს;

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული არაეფექტური რეგულირება, რის გამოც არსებობს რეალური საფრთხე, რომ წინასაარჩევნო გარემო არ იყოს კონკურენტული და საარჩევნო სუბიექტები არ იყვნენ თანასწორ პირობებში. ეს კი, უარყოფითად მოქმედებს სამართლიან და თანასწორ წინასაარჩევნო გარემოზე;

რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს არის ის საკანონმდებლო აკრძალვები, რაც დადგენილია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სფეროში და სახელმწიფო აუდიტის უზომოდ გაზრდილი უფლებები. ამგვარი შეზღუდვები, პოტენციურად ქმნის საფრთხეს, რომ ისინი გამოყენებული იქნება პოლიტიკურ ოპონენტებზე ანგარიშსწორების მიზნით, რამაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა, გამოიწვიოს ოპოზიციური პარტიების არსებითი შეზღუდვა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას და ასევე, მათი გამოთიშვა არჩევნებში ეფექტურად მონაწილეობისაგან. ასეთ შემთხვევაში, არჩევნები შესაძლოა, ჩატარდეს უალტერნატივო გარემოში და ეჭვქვეშ დადგეს მთლიანად არჩევნების სამართლიანობა.

VI. წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული ფაქტები

1. პოლიტიკური ნიშნით დევნა

2011 წლის დეკემბერი. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, *საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლიდან გათავისუფლებული ისტორიის მასწავლებელი*

თამარ სუხიაშვილი აცხადებს, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს: „სკოლაში მისულს კაკაბეთის საჯარო სკოლის დირექტორმა პაატა ჩხეიძემ მთხოვა, დამეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. მე უარი ვუთხარი. მან მითხრა, რომ უკვე გამზადებული ჰქონდა ბრძანება ჩემი სამსახურიდან წასვლის შესახებ". „ჯერ კიდევ 23 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, დირექტორის ინიციატივით, ჩემთან სახლში, მობრძანდა სასწავლო ნაწილის გამგე ლუიზა შენგელიძე, რომელმაც მითხრა, რომ თუ არ შევწყვეტდი ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას, აუცილებლად მომიწევდა სამსახურის დატოვება".[28]

2012 წლის იანვარი. დედოფლისწყაროს პროკურატურაში 17 წლის ბექა ცეცხლაძე დაკითხეს. პოლიცია მას ცივი იარაღის ტარებაში ადანაშაულებს. არასრულწლოვანის დედის დალი ცეცხლაძის თქმით, მის ოჯახს პრობლემები მას შემდეგ ექმნება, რაც სოფელ სამთაწყაროში რთველზე ჩასულ კახა კუკავას შეხვდნენ. პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა საზღვრისპირა სოფელში, სადაც ინგილოები და აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ, გასული წლის სექტემბერში იმყოფებოდა. ის რთველის მიმდინარეობით უკმაყოფილო გლეხებს შეხვდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, კუკავას ვიზიტის შემდეგ სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს, რომელთა წევრებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ, სოციალური მომსახურების სააგენტომ საარსებო შემწეობა შეუწყვიტა, მათ შორის გურამ და დალი ცეცხლაძეების ხუთშვილიან ოჯახსაც. „სანამ დახმარებას შემიწყვეტდნენ, სოფლის გამგებელი პაატა ნადირაშვილი შემხვდა ქუჩაში და მკითხა, კუკავასთან რა გინდოდაო? მე ვუთხარი, თამილა ჩემი ბავშვის ნათლიაა, თავისი ხელმძღვანელები მოიყვანა და მიმიწვია მეთქი. ხოდა, კუკავა დაგეხმაროსო. სამი კვირის შემდეგ დახმარება შემიწყვიტეს, ახლიდან გადამამოწმეს და მაღალი სარეიტინგო ქულა მომცეს", - ამბობს დალი ცეცხლაძე.[29]

[28] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14358&lang=geo
[29] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14347&lang=geo

იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი, რომელიც პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნების" წევრია, პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორს თავისი დედის, თალიკო ლაგაზაურის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებს. როგორც ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, თალიკო ლაგაზაური, რომელსაც პედაგოგად მუშაობის 22 წლის სტაჟი გააჩნია, სამსახურიდან მხოლოდ იმის გამო გაათვისუფლეს, რომ მისი დედაა.[30]

საჩხერის ცენტრში გამართული საახალწლო კონცერტზე: „გაუმარჯოს ბიძინას" შეძახილის გამო, პოლიციამ ათამდე ადამიანს სცემა. ინციდენტი **13 იანვარს** ღამით, კონცერტის მსვლელობისას მოხდა.[31]

თებერვალი. თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნების" თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის დისშვილის ბავშვობის მეგობარ ზაზა კობახიძეს თავისუფლების ოთხი წლით აღკვეთა მიუსაჯა. კობახიძე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილით - იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით გაასამართლეს. ადვოკატ ლადო მაჭარაშვილის განცხადებით, განაჩენი უკანონოა. სასამართლო პროცესზე სიტყვა ბრალდებულსაც მიეცა. „სახლიდან როცა გამოვედი, პოლიციელებმა ხელები ამომიტრიალეს და ძირს დამაწვინეს. ეს ჩემმა მეუღლემ და შვილმა დაინახეს და ჩემსკენ გამოიქცნენ. ამიტომ პოლიციელებმა სასწრაფოდ მანქანაში ჩამსვეს. ასე რომ, გამორიცხულია, ჩემი ჩხრეკა 35 წუთის მანძილზე გაგრძელებულიყო, როგორც ეს სამართალდამცველებმა თქვეს. პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. ამ ყველაფრის ატანა მორალურად ძალიან მძიმეა, რადგან მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ვემსახურებოდი. აგვისტოს ომში ვიბრძოდი. ჩემი დაკავების დღეს კი სამების საკათედრო ტაძარში გვარის შეკრებაზე მივდიოდი. ქრისტიანი ადამიანი იარაღით წმინდა ადგილას არ დადის. ეს

[30] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14330&lang=geo
[31] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14342&lang=geo

ჩემთვის შეურაცხმყოფელია. მე მართალი ვარ და მართალი კაცისთვის სასჯელის მოხდა რთულია“, - განაცხადა კობახიძემ.[32]

მარტი. ზური თავართქილაძე ფოთის #7 საჯარო სკოლის დარაჯი ამბობს, რომ გაზეთ „ქართული ოცნების“ კითხვის გამო სამსახურიდან დაითხოვეს. სკოლის დარაჯი მომხდარს ასე იხსენებს: „დილით, სკოლაში რომ მივდიოდი, კართან დამხვდა გაზეთი ჩამოდებული. ვიფიქრე, სკოლაში წამეღო და იქ წამეკითხა. იქ როგორ გაიგეს, ან ვინ მნახა, არ ვიცი. რამდენიმე ხანში მანდატურების უფროსი მოვიდა და ახსნა-განმარტება დამაწერინეს, რომ მე თითქოს პროპაგანდას და აგიტაციას ვეწეოდი. როგორც მითხრეს, განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაურეკავთ ამის შესახებ. დირექტორს უთხრეს, რომ გავეთავისუფლებინე სამსახურიდან. დირექტორთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მას სხვა გზა არ ჰქონდა“.[33]

9 მარტს გურჯაანში, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის წევრი ზვიად ყვირალაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ყვირალაშვილი საკრებულოს მიერ დაფუძნებულ შპს „კეთილმოწყობა“-ში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და შრომითი ხელშეკრულება 2012 წლის 1 მაისამდე ჰქონდა გაფორმებული.[34]

კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტი ზურა თერგიაშვილი, რომელიც გურჯაანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მძღოლად მუშაობდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. 9 მარტს, ასევე სამსახურიდან **გაათავისუფლეს** პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის წევრი ზვიად ყვირალაშვილიც. ის საკრებულოს მიერ დაფუძნებულ შპს „კეთილმოწყობა“-ში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და შრომითი ხელშეკრულება 2012 წლის 1 მაისამდე ჰქონდა გაფორმებული.[35]

---

[32] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14432&lang=geo
[33] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14543&lang=geo
[34] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14581&lang=geo
[35] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14784&lang=geo

11 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე პოლიტიკური კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება მათი აქტივისტების ტერორში დაადანაშაულა. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ რეგიონებში მათ აქტივისტებზე ტერორი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. „11 მარტს რეგიონებში მთელი დღე-ღამის განმავლობაში ჩვენს აქტივისტებთან მიდიოდნენ ადამიანები, რომლებიც თავს აცნობდნენ კონტროლის პალატის წარმომადგენლებად და დაკითხვაზე იბარებდნენ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ეს ადამიანები სამოქალაქო აქტივისტები არიან, რომელთაც "ქართულ ოცნებასთან" არანაირი ფინანსური კავშირი არ აქვთ, მოძრაობასთან მათი კონტაქტი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ „ქართული ოცნების“ გაზეთებს არიგებდნენ და ივანიშვილის მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდნენ“.[36]

11 მარტს ახმეტაში რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრის ზაქარია ქინქლაძის ორი ჰექტარი ვაშლის ბაღი და მისი ძმის კუთვნილი ნახევარი ჰექტარი თხილის ნარგავი დაიწვა. ასევე დაიწვა ამ ფართზე განლაგებული საკურდღელე მინიფერმა. ნარგავები და შენობა სრულად განადგურდა. არსებობს ვარაუდი, რომ ეს ხანძარი შესაძლოა, პოლიტიკური ანგარიშსწორება იყოს.[37]

12 მარტს „ქართული პარტიის“ გენერალურ მდივანს ირაკლი დოლაბერიძეს, რომელიც პარტიული კონსულტაციებისთვის პარიზში, პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილთან მიემგზავრებოდა, მეორედ არ მისცეს ქვეყნის დატოვების უფლება და საპატრულო პოლიციამ აეროპორტიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოაბრუნა. ირაკლი დოლაბერიძეს საზღვარგარეთ გაფრენის უფლებას მიმდინარე წლის 2012 წლის 6 იანვარიდან არ აძლევენ.[38]

---

[36] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14585&lang=geo
[37] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14595&lang=geo
[38] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14593&lang=geo

15 მარტს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლაგოდეხის შტაბის წევრის ზურაბ გამეზარდაშვილის დედა ცისანა ჯოიაშვილი სოფელ აფენის საჯარო სკოლიდან გაათავისუფლეს. ცისანა ჯოიაშვილი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და შრომითი ხელშეკრულება 2012 წლის 15 სექტემბრამდე ჰქონდა გაფორმებული.[39]

„ქართული ოცნების“ გურჯაანის ოფისის ხელმძღვანელი აკაკი ბეგაშვილი შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელს შალვა იმერლიშვილს ამხელს. როგორც აკაკი ბეგაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, კუდ-ის თანამშრომელი, პარასკევს, **16 მარტს,** მასთან სახლში მივიდა და უთხრა, რომ „ქართული ოცნებიდან“ წასულიყო.[40]

1 აპრილს ახმეტის პოლიციის უფროსის მოადგილე მალხაზ ხუბეჯაშვილი, მეტსახელად „მოურავი“ სოფელ ალავერდში მცხოვრებ გოჩა და ბაადურ ბასილაშვილებს დაპატიმრებით დაემუქრა იმის გამო, რომ ისინი ახმეტაში „ქართული ოცნების“ ოფისის გახსნას დაესწრნენ.[41]

2 აპრილს ზუგდიდში „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი სერგო ჩაჩიბაია დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჩიქოვანმა განუცხადა, ჩაჩიბაია ავტოგასამართ სადგურზე დააკავეს. ჩიქოვანის თქმით, მას მოულოდნელად უცხო პირი მივარდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მისივე განცხადებით, ჩაჩიბაიას ამ ფაქტზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა, ადგილზე მაშინვე გაჩნდნენ პოლიციელები და ის დააკავეს.[42]

პარტია „სალომე ზურაბიშვილი–საქართველოს გზის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის, მამუკა ბალიაშვილის ინფორმაციით, ქუთაისში „ქართული ოცნების“

[39] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14753&lang=geo
[40] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14642&lang=geo
[41] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14756&lang=geo
[42] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14692&lang=geo

აქტივისტები სცემეს - „ქუთაისში, თეთრ ხიდთან „ქართული ოცნების“ აქტივისტები გაზეთებს არიგებდნენ, რა დროსაც მათ მოულოდნელად დაახლოებით 15 პიროვნება თავს დაესხა, რომლებიც გამგეობის თანამშრომლები იყვნენ“.[43]

ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით, კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ, ახმეტაში გამოკითხულ რესპონდენტებზე შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლები ზეწოლას ახორციელებენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა კითხვაზე - სამართლიანია თუ არა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაწყვეტილება, ახმეტაში გამოკითხვა **5 აპრილს** ჩაატარა. გამოკითხვის შედეგების ამსახველი ვიდეომასალა კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე იმ დღესვე, 17:38 საათზე განთავსდა. გამოკითხულთა სრული უმრავლესობა გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს.[44]

18 აპრილს კოალიცია „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს რაიონული შტაბის ოფის-მენეჯერი აკაკი ნატროშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. აკაკი ნატროშვილი დედოფლისწყაროს საკრებულოს მიერ დაფუძნებულ კულტურისა და სპორტის ცენტრში მწვრთნელად მუშაობდა და სოფელ ზემო მაჩხაანში ბავშვებს ფეხბურთში ავარჯიშებდა.[45]

18 აპრილს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის და - თამარ თამაზაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. თამარ თამაზაშვილი დედოფლისწყაროს სახელოვნებო სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა.

[43] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14716&lang=geo
[44] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14744&lang=geo
[45] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14816&lang=geo

როგორც თამარ თამაზაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ის სკოლიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.[46]

19 აპრილს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მეხუთე კვარტლის მიმდებარე ტერიტორიიდან სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, ბიძინა ივანისვილის შვილის - ბერა ივანიშვილის სტუდია „Georgian dreams studio"-ს წევრის, „რუსთავი2"-ის გასართობი გადაცემების ყოფილი თანამშრომლის, ლევან გოგორელიანის ძმა, ლაშა გოგორელიანი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მანამდე ტელეკომპანია „რუსთავი2"-ის გასართობი შოუების მსახიობები თემო მჟავია, ამიკო ჩოხარაძე და ლევან გოგორელიანი, იგივე „ფაქო" Georgian dreams studio-ში დაახლოებით ორი კვირის წინ გადავიდნენ.[47]

20 აპრილს ლაშა გოგორელიანი, ასევე, მასთან ერთად დაკავებული თენგიზ აბდალაძე და რევაზ ქიტიაშვილი სასამართლომ 500-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა. მოსამართლემ გადაწყვეტილება ახალგაზრდების დაკავებიდან რამდენიმე საათში გამოიტანა.[48]

30 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საინიციატივო ჯგუფის წევრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, თამაზ თამაზაშვილი ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციის ამოწურვის შემდეგ განაჩენის გასაჩივრებას ევროსასამართლოშიც გეგმავს.[49]

ახმეტაში მცხოვრები ირმა პეტრიაშვილი, რომელსაც სამი შვილი ჰყავს და ერთოთახიან ბინაში ქირით ცხოვრობს, აცხადებს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ

[46] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14799&lang=geo
[47] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14783&lang=geo
[48] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14790&lang=geo
[49] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14840&lang=geo

საარსებო შემწეობა მას შემდეგ შეუწყვიტა, რაც ის კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა.[50]

10 მაისს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი მაილაშვილი სოფელ ქისტაურში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს დაემუქრა. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის ხელმძღვანელმა ზაქარია ქინქლაძემ განუცხადა.[51]

თიანეთში, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერის მევლუდ შუშანაშვილის რვასულიან ოჯახს სოციალური დახმარება მოუხსნეს. როგორც შუშანაშვილმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, **15 მაისს** მოსახლეობასთან „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრას დაესწრო. შეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მასთან სოციალური აგენტები მივიდნენ და სოციალური დახმარება მოუხსნეს.[52]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და „სამართლიანი არჩევნები“ ეხმაურებიან გავრცელებულ ინფორმაციას **20 მაისს** პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელის, მამუკა ქარდავას მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით და აღნიშნულის ობიექტურ, სრულ და დროულ გამოძიებას ითხოვენ. მედიით გავრცელებული ინფორმაციის **თანახმად, 20 მაისს, დაახლოებით 00:45 წუთზე**, როდესაც მამუკა ქარდავა სახლში საკუთარი ავტომანქანით ბრუნდებოდა, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის სარკინიგზო გადასასვლეთან ოთხი დაუდგენელი პირი დაესხა თავს. მამუკა ქარდავას განცხადებით, მის შეჩერებულ ავტომანქანაში ერთ-ერთმა თავდამსხმელმა შეღწევა მოახერხა და მისი დახრჩობა სცადა. ქარდავამ გაქცევის მიზნით უკუსვლა გადაწყვიტა, თუმცა თავდამსხმელმა საჭის მართვაში ხელი შეუშალა და ავტომანქანა რკინის ბოძს შეეჯახა.

[50] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14911&lang=geo
[51] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14890&lang=geo
[52] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14909&lang=geo

მისივე განცხადებით, იგი დაზიანებული ავტომანქანიდან სამმა თავდამსხმელმა ძალის გამოყენებით გადმოიყვანა და ხელკეტით სცემა. იმავე ღამეს სხეულის მრავლობითი დაზიანებებით მამუკა ქარდავა ხობის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს.[53]

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი თვლის, რომ თუკი სახელმწიფო სტუქტურებში დასაქმებული ადამიანები მხარს ოპოზიციას უჭერენ და მათ მანიფესტაციებში მონაწილეობენ, ისინი სამსახურიდან უნდა გაუშვან. „ეს იგივეა, ხვალ თქვენ თქვენი სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ მიტინგში რომ მიიღოთ მონაწილეობა. თუკი სახელისუფლებო სტუქტურებში დასაქმებული ადამიანები ოპოზიციის მიტინგებზე დადიან და ხელისუფლებას ებრძვიან, მათი გათავისუფლება ბუნებრივია. საჯარო მოხელე ოპოზიციის მიტინგებზე არ დადის!“ - განუცხადა „პირველს“ წერეთელმა, რომელიც ირწმუნება, რომ „ეს ასეა ყველა ქვეყანაში“.[54]

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის #1 საჯარო სკოლის დირექტორმა ნელი ტერტერაშვილმა საგანგებო თათბირი გამართა და პედაგოგებს „გლობალ TV“-ის ანტენების დაყენება აუკრძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა. ამის შესახებ სკოლის პედაგოგი საუბრობს. სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე მასწავლებლის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ.[55]

ქალაქ თელავში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი გივი ოთარაშვილი ცემეს. როგორც გივი ოთარაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, **30 მაისს** დაახლოებით 22:00 საათზე, სოფელ ვანთაში, ნათესავის სახლთან თავს ორი უცნობი პირი დაესხა და ბლაგვი საგნის ჩარტყმით გათიშეს.[56]

კოალიცია „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის უფროსი, რესპუბლიკური პარტიიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ზაქარია ქინქლაძე პოლიციამ **24 ივნისს** დააკავა.

[53] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14912&lang=geo
[54] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14939&lang=geo
[55] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14953&lang=geo
[56] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14949&lang=geo

თელავის სასამართლომ მას 25 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ ზაქარია ქინქლაძეს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.[57]

შიდა ქართლის რეგიონის სოფელ მერეთში **26 ივნისს** შეხლა–შემოხლა მოხდა, როდესაც ოპოზიციური კოალიციის ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში.
ორი ადამიანი, ორივე ივანიშვილის მხარდამჭერი და მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი, საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.
ივანიშვილი, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების ლიდერთან ირაკლი ალასანიასთან ერთად სოფელ მერეთში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩავიდა. როდესაც ქართული ოცნების ერთ–ერთი მხარდამჭერი ივანიშვილს ესაუბრებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საჭიროების თაობაზე, შუახნის მამაკაცი მიუახლოვდა და განაცხადა: „ომის პერიოდში სად ბრძანდებოდნენ“. შემდეგ ივანიშვილი თავად მიუახლოვდა შორიახლო მდგომ ქალების ჯგუფს და ერთ–ერთმა მათგანმა უთხრა მას: „მე თქვენ და თქვენისთანა ადამიანები მიმაჩნია საქართველოს მოღალატეებად… პუტინმა დაგავალათ საქართველოში არეულობა შეგეტანათ.” მეორემ კი უთხრა: „ააკაშვილი მარტო პრეზიდენტი კი არა, ჩვენი ღმერთია“. როდესაც ივანიშვილი ამ ქალებს ესაუბრებოდა, რამდენიმე მეტრის მოშორებით შეხლა–შემოხლა დაიწყო. ადგილობრივებმა, რომლებიც ივანიშვილს უჭერენ მხარს, განაცხადეს, რომ ჩხუბი მმართველი პარტიის, მათ შორის ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების თანამშრომლების პროვოცირებული იყო.[58]

საქართველოს ხელისუფლებამ ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის წილები ორ ქართულ ბანკში დააღადაღა მას შემდეგ, რაც მილიარდერმა პოლიტიკოსმა უარი განაცხადა ამ თვეში დაკისრებული მრავალმილიონიანი ჯარიმის გადახდაზე.

[57] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15083&lang=geo
[58] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15066&lang=geo

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 26 ივნისს განაცხადა, რომ ყადაღა დაადო ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ს „ქართუ ბანკში", აგრეთვე აქციების 21.7%-ს „პროგრეს ბანკში" და აქციების 100%-ს სს ,,ქართუ ჯგუფში". იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი ეს სახელმწიფო უწყება გასულ კვირას ჩაერთო 74.32 მლნ ლარის ჯარიმის საქმეში, რომელიც პარტიების დაფინანსების კანონის დარღვევისთვის დაეკისრა ოპოზიციური კოალიციის ლიდერს.[59]

პოლიციამ „ქართული ოცნების" პროგრამა „კარდაკარის" რეგისტრატორი ილია სულიაშვილი 1 ივლისს დააკავა. იგი წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დაადანაშაულეს და სასამართლომ 35-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ილია სულიაშვილს სხეულის დაზიანებები აქვს მიღებული.
ილია სულიაშვილს პოლიციაში სოფელ ჩაულაუბანში მცხოვრებმა გიორგი და ლალი ფრიდონაშვილებმა უჩივლეს. მათი თქმით, სულიაშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენათ. თავად სულიაშვილი კი აცხადებს, რომ თავს სამი უცნობი პირი დაესხა და „ქართული ოცნებასთან" თანამშრომლობის გამო ცემეს. ილია სულიაშვილის წინააღმდეგ თავდაპირველად გამოძიება სისხლის სამართლის წესით, ხულიგნობის მუხლით დაიწყო, თუმცა მოგვიანებით საქმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გადაკვალიფიცირდა.[60]

კოალიცია „ქართული ოცნების" მხარდამჭერები, რომლებმაც 1 ივლისს, მცხეთაში, აქციაში მიიღეს მონაწილეობა, პოლიციაში დაიბარეს. „ქართული ოცნების" დუშეთის შტაბის უფროსის, დოდო ჩოხელის განცხადებით, სოფელ ქვეშეთის სკოლის დირექტორი კამილა ხევსურიშვილი კოალიციის მხარდამჭერებს სკოლიდან ბავშვების გარიცხვით ემუქრება.
„აქციაში მონაწილეობის შემდეგ პრობლემები შეგვექმნა. დაგვიბარეს აქციის მონაწილეები, ვინც აქედან წავედით და მოითხოვეს პირადობის მოწმობები. დაგვიბარეს

[59] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15067&lang=geo
[60] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15159&lang=geo

ფასანაურიდან. კერძოდ, უბნის ინსპექტორი გვიბარებდა“, – განუცხადა მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთში მცხოვრებმა ზურა ბურდულმა. მისივე თქმით, აქციაში მონაწილეობის შემდეგ ქვეშეთის საჯარო სკოლის დირექტორმა მოსწავლეების მშობლებს დაურეკა და სკოლაში პირადობის მოწმობების მიტანა მოსთხოვა.[61]

კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის“ წევრებმა მოიპოვეს ლანჩხუთის პოლიციის თანამშრომლის, შმაგი ურატაძის კუთვნილი ჩიპი, რომელშიც ჩაწერილი სხვადასხვა ინფორმაცია და მოხსენებითი ბარათები ადასტურებს, რომ პოლიცია უხეშად და უკანონოდ ერევა წინასაარჩევნო პროცესში.

ამ მასალებით ირკვევა, რომ პოლიცია სასამართლოს სანქციის გარეშე აწარმოებს თვალთვალს და აგროვებს ინფორმაციას სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების პოლიტიკური შეხედულებების, ოპოზიციის ადგილობრივი ლიდერების, საჯარო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების, მათ შორის, ამ ადამიანების პერსონალური მონაცემების (პირადი ნომრები, ტელეფონის ნომრები) თაობაზე.
განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პოლიციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციაში ცალკეა გამოყოფილი იმ ადამიანთა მონაცემები, რომელთაც უყენიათ სატელიტური თეფშები, აგრეთვე, ერთ-ერთი ოპოზიცური გაერთიანების, ”ქართული ოცნების” ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ”კომპანიაში დასაქმებული პირების” ვინაობა.[62]

2 მაისს ქუთაისში კოალიცია „ქართული ოცნების“ დემონსტრაცია პოლიციამ წყლის ჭავლით დაშალა. „მსვლელობის დროს გავიარეთ მერიის შენობასთან, სადაც მობილიზებული იყო ორი სახანძრო მანქანა. ჩვენი დანახვისთანავე ეს მანქანები გამოგვედევნენ წყლის ჭავლით, რომელსაც უშვებდნენ ჩვენი მისამართით“, - - აცხადებს კოალიციის წარმომადგენელი ნატო ქათამაძე, - „დაგვსდევდა არა მარტო სახანძრო მანქანა, არამედ მერიის თანამშრომლებიც. მათ შორის იყვნენ, ქუთაისის საქალაქო

[61] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15132&lang=geo
[62] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15289&lang=geo

სამსახურის უფროსი თუთბერიძე, რომელიც მანქანაში იყო და ვიცანით სახეზე. სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი, ცაავა, ავტოქარხნის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომელი და ახლა მერიის თანამშრომელი კახა ხვარეშია. ხვარეშია ძალიან აქტიურობდა. იმ სიბნელეში მეტი სახეები ვერ ამოვიცანით, მაგრამ ყველაფერი ვიდეოფირებზეა აღბეჭდილი".[63]

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" კოორდინატორმა და გრძელვადიანმა დამკვირვებელმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ნანა სანიკიძემ humanrights.ge-სთან საუბრისას განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გიორგი გოგუაძემ იგი კაბინეტში დაიბარა, სადაც ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას.[64]

რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც 14 ივლისს, ვაჟაობისთვის, დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში ჩასულ ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ და ხელი ჩამოართვეს, ჟინვალის პოლიციაში დაიბარეს.

„14 ივლისს ვაჟაობა იყო. ბიძინა ივანიშვილი იყო ჩამოსული. ჩარგალში ვცხოვრობ და დავინტერესდი. ბიძინა რომ მოვიდა, რამდენიმე ადამიანს ხელი ჩამოართვა, მოგვესალმა, მივესალმეთ. ღონისძიებებს დავესწარი, მერე ჩვეულებრივ სახლში დავბრუნდი. 4 დღის შემდეგ სახლში ჟინვალის პოლიციის თანამშრომელმა მომაკითხა, პოლიციაში ხარ დაბარებულიო. გასულ კვირას ვიყავი პოლიციაში. მითხრეს, იქ რა გინდოდაო. უხეშად იქცეოდნენ. გვარი – სახელი არ უთქვამთ ვინ იყვნენ, პოლიციის ფორმა ეცვათ და გასაუბრებაც პოლიციის განყოფილებაში შედგა. მითხრეს, რომ სადაც ივანიშვილი იქნება, იქაურობას ახლოს არ უნდა გავეკარო, თორემ მეც და ჩემს შვილსაც პრობლემა შეგვექმნება, საპროცესოთიც ვერ გახვალთ გარეთო", – განუცხადა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ჩარგალში მცხოვრებმა ერთ–ერთმა მამაკაცმა.

[63] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14849&lang=geo
[64] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15254&lang=geo

მასთან პოლიციის თანამშრომლის ვიზიტი და პოლიციაში დაბარების ფაქტი მამაკაცის ოჯახის წევრებმაც დაადასტურეს.[65]

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში მცხოვრები აკაკი ტალიაშვილი სიღნაღის პოლიციის წნორის ქვეგანყოფილების თანამშრომელს გიორგი ბეგიაშვილს ზეწოლაში ადანაშაულებს.

„უბნის რწმუნებული გიორგი ბეგიაშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დავტოვო და ივანიშვილის ხალხს საერთოდ თავი უნდა დავანებო. თუ პარტიიდან არ გამოხვალ, რაღაცეებს გაბრალებენ და პრობლემები შეგექმნებაო. ვკითხე, რას მაბრალებენ მეთქი და მიპასუხა, წისქვილიდან ხორბალი და ფქვილია დაკარგული და პარტიიდან დროზე თუ არ გახვალ, შენი საქმე ცუდად იქნებაო“, – განუცხადა აკაკი ტალიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ მეუღლის ნანა მოსაშვილის თანამშრომლობის გამო დაკავებით დაემუქრნენ სოფელ ვაქირში მცხოვრებ შალვა მოსაშვილსაც. მისი თქმით, ზეწოლა სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის დავალებით განხორციელდა.

„რამდენიმე დღის წინ, ჩემმა მეუღლემ ნანა მოსაშვილმა მუშაობა დაიწყო „ქართულ ოცნებაში“, კარდაკარის პროგრამაში. სამი დღის შემდეგ მომიგზავნეს ხალხი და მითხრეს, მეუღლე „ქართული ოცნებიდან“ გამოიყვანეო, რაზეც უარი ვუთხარი. მერე კიდევ რამდენიმე კაცი მოგზავნეს და მემუქრებოდნენ, დაგიჭერთო. ორმა ადამიანმა მითხრა, პირადად ნუგზარ აბულაშვილმა გამოგვგზავნა, უთხარით, გაჩერდესო,“ – აღნიშნა შალვა მოსაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი პოლიციის თანამშრომელს გიორგი ბეგიაშვილს ვერ დაუკავშირდა, დეპუტატმა ნუგზარ აბულაშვილმა კი აღნიშნა, რომ შალვა მოსაშვილზე ზეწოლის შესახებ არაფერი იცის. „არ მაინტერესებს, მე საქმის კურსში არა ვარ და ვინც

[65] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15256&lang=geo

გეუბნებათ მაგას, იმას ჰკითხეთ რა“, – განუცხადა ნუგზარ აბულაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.[66]

2. ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლა

31 იანვარს *კახეთის საოლქო პროკურატურამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ჟურნალისტი სოფო ნიკოლაშვილი დააკავა. ჟურნალისტის მამა, დათო ნიკოლაშვილი გურჯაანში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ აქტივისტია.* პროკურატურა სოფო ნიკოლაშვილს პოლიციის თანამშრომლის, გიორგი სიბაშვილის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებს. 23 წლის გიორგი სიბაშვილი შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ინსპექტორ - გამომძიებელია. მისი მამა, გოჩა სიბაშვილი გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილეა. ბიძა - გიორგი სიბაშვილი კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილეა. სამართალდამცავებმა დაკავებულის ოჯახის წევრებს მხოლოდ 1 თებერვალს, დილით შეატყობინეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფო ნიკოლაშვილის ოჯახის წევრებმა განუცხადეს, მთელი ღამის განმავლობაში ისინი გოგონას საავადმყოფოებში და ნათესავებთან ეძებდნენ. *გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ სოფიკო ნიკოლაშვილის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაადო.*[67]

გორის რაიონის სოფელ კარალეთში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი ცემეს. ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა კარალეთის რწმუნებულმა მიაყენა. საბა წიწიკაშვილი გორის საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც დაზარალებულმა ჟურნალისტმა კახეთის სიანფორმაციო ცენტრს განუცხადა, კარალეთში მხარდამჭერებთან შესახვედრად „ქართული ოცნების“ აქტივისტები იმყოფებოდნენ. შეხვედრის ჩაშლა სოფლის გამგეობის თანამშრომლებმა და მართველი

[66] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15261&lang=geo
[67] http://ick.ge/ka/jinvestigation/9700--i.html

პარტიის ერთ-ერთ მაჟორიტარ დეპუტატ - ბადრი ბასიშვილთან დაახლოებულმა პირებმა სცადეს, რა დროსაც მათ ფიზიკური შეურაცხყოფა ჟურნალისტებსაც მიაყენეს.[68]

2012 წლის 6 ივლისს, გორის რაიონის სოფელ წედისში საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9"-ის გადამღებ ჯგუფს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ჟურნალისტი რეზო ნადირაძე და ოპერატორი ლექსო ალექსიძე სოფელში საპროტესტო აქციის გასაშუქებლად იყვნენ ჩასულები. წედისელები სასმელი წყლის მიწოდების მოთხოვნით, გზის გადაკეტვას აპირებდნენ. მოულოდნელად სოფელში, მერსედესის მარკის მანქანა გამოჩნდა ნომრით (SOV 001).

მანქანიდან გადმოსულმა ერთ–ერთმა პირმა ხელი მიკროფონს ჩაარტყა. როცა ჟურნალისტი დაინტერესდა, თუ ამას რატომ აკეთებდა, მეორე პირმა ჟურნალისტს და ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს ყველაფერი ვიდეომასალაზეც დაფიქსირებულია. კონფლიქტში სოფლის მოსახლეობა ჩაერთო და იქ მისული პირები იძულებული გახდნენ წედისი დაეტოვებინათ.

წედისელებმა მერსედესით მისული პირები იქვე ამოიცნეს. ერთი მათგანი მეზობელ სოფელ ატენში მცხოვრები პოლიციელი სამსონ ვანიშვილი აღმოჩნდა, რომელიც ჟურნალისტებს საქმიანობაში ხელს უშლიდა.[69]

გორის რაიონში აგრესიულად განწყობილი ადამიანები კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერების სოფლებში შეხვედრების ჩაშლას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ. აგრესიას ჟურნალისტების მიმართაც გამოხატავენ. სოფელ ახალდაბაში ერთმა პიროვნებამ სააგენტო „ინფო 9"-ის ოპერატორს თორნიკე თიბილაშვილს ჯერ გადაღების შეწყვეტა მოსთხოვა და შემდეგ მუშტი პირდაპირ სახეში ჩაარტყა. ამავე სოფელში ჩხუბი ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრეებს შორისაც გაიმართა.

„ინფო 9"-ის ოპერატორს თვალი აქვს დაზიანებული, დამტვრეულია ვიდეოკამერაც. თიბილაშვილმა სამედიცინო ექსპერტიზა უკვე ჩაიტარა და რეაგირებისთვის სახალხო

[68] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15175&lang=geo
[69] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15130&lang=geo

დამცველს მიმართა. პიროვნება, რომელმაც მას დაარტყა, ვიდეომასალაზე დაფიქსირებულია, თუმცა ჟურნალისტებმა მისი ამოცნობა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. თიბილაშვილის თქმით, მას იმ დროს გაუსწორდნენ, როცა ხალხში დაწყებულ ჩხუბს იღებდა.[70]

კარალეთში მომხდარი ინციდენტის შედეგად 10 ჟურნალისტი დაშავდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, დაშავებულები არიან სააგენტო „ინფო-9"–ის წარმომადგენლები თამთა ილურიძე, ეკა ილურიძე, შორენა ხაბალაშვილი, რეზო ნადირაძე და ლექსო ალექსიძე, „მე-9 არხის" ჟურნალისტები ნუკრი ბეგლარაშვილი და ნოდარ სხირტლაძე, ტელეკომპანია „თრიალეთის" წარმომადგენლები ნინო ბოლაშვილი და მამუკა ქევხიშვილი და შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი.

ომბუდსმენის ინფორმაციით, ჟურნალისტთა ზეპირი განმარტებით, მათ ნაწილს დაზიანებული აქვს ტექნიკა და ინციდენტის შემდეგ ისინი შსს გორის სამმართველოში იმყოფებოდნენ.

„საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გორის რაიონის სოფელ კარალეთში, მოსახლეობასთან „ქართული ოცნების" შეხვედრისას ადგილი ჰქონდა ინციდენტს. მოქალაქეთა ჯგუფმა აქციის მონაწილეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შედეგად, აქციის რამდენიმე მონაწილე და ჟურნალისტი დაშავდა. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქ გორის საავადმყოფო „გორმედში" აქციის დაახლოებით 13 მონაწილე სხვადასხვა დაზიანებით იმყოფება. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ასევე დაუკავშირდა დაშავებულ ჟურნალისტებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. შესაბამისად, მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს დაუყოვნებლივ გაატარონ სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო ღონისძიებები სამართალდამრღვევ პირთა

[70] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15179&lang=geo

იდენტიფიცირების მიზნით. საქართველოს სახალხო დამცველი განაგრძობს აღნიშნული ფაქტზე ახსნა-განმარტებებისა და ინფორმაციის მოპოვებას“, – ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის მიერ 12 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში.[71]

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სააგენტო info 9–ის ჟურნალისტს თინათინ მატინოვს, რომელიც გამგეობის სპეციალისტისგან გიორგი ლათიბაშვილისგან ინფორმაციის მიღებას ცდილობდა, მიკროფონით ნათია მირიანაშვილი აედევნა და გამგეობის თანამშრომელს კომენტარის გაკეთება აუკრძალა. ამ ინფორმაციას სააგენტო Info 9 ავრცელებს.

„გიორგი, ერთი წუთით თუ შეიძლება. არ მისცე არანაირი კომენტარი“, – მიმართა ნათია მირიანაშვილმა გამგეობის თანამშრომელს. ამის შემდეგ მან კითხვა info 9–ის ჟურნალისტს და ოპერატორს დაუსვა.[72]

11 მაისს სტუდია „GNS“-ის ჟურნალისტს, ბელა ზაქაიძეს და ოპერატორს, ზურაბ პატარიძეს დუშეთის რაიონის გამგეობის დაცვის თანამშრომელმა შენობის გადაღების საშუალება არ მისცა. გამგეობის ეზოში მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პატარიძეს, ცდილობდა, დაეზიანებინა კამერა, ემუქრებოდა: „მოგატეხავ მაგ ხელებს, ამოგახევ მაგ თვალებს“ და აგინებდა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 6 ივნისს მას შემდეგ აღიძრა, რაც საქართველოს უშიშროების საბჭოს უწყებათშორის კომისიას აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოსთხოვეს.

20 მაისს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილი, რომელიც პოლიციის შენობას გარე პერიმეტრიდან იღებდა, თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ, მამუკა შალამბერიძემ პოლიციის შენობაში შეათრია და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა, წაუშალა ვიდეო და ფოტო მასალა. პოლიციის თანამშრომლებმა, მთივლიშვილის რამდენჯერმე მოთხოვნის შემდეგ, გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ხოლო მისი მოსვლისთანავე ჟურნალისტი

[71] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15187&lang=geo
[72] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15170&lang=geo

პოლიციის შენობიდან გამოაგდეს. ამის შემდეგ გელა მთივლიშვილი რამდენიმე საათის განმავლობაში თიანეთის საავადმყოფოში იმყოფებოდა. მას დაუდგინდა თხემის არეში დაჟეჟილობა და ტვინის შერყევა, რასაც ავადმყოფობის ისტორიაც (ფორმა 100) ადასტურებს.

ინციდენტიდან 30-40 წუთის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, შოთა უტიაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მთივლიშვილი თავად შეიჭრა პოლიციის შენობაში და არ ტოვებდა მას.

25 მაისს გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს, თამარ ლეფსვერიძეს და მის წარმომადგენელს, მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, ნათია კაპანაძეს საქართველოს კონტროლის პალატაში საჯარო პროცესზე პირადი ნივთების, მათ შორის, დიქტოფონისა და ლეპტოპის შეტანის უფლება არ მისცეს, ისინი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ ყველა ნივთი დაცვის თანამშრომლებისთვის ჩაებარებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა, იმ საჯარო პროცესის აუდიოჩანაწერი გაეკეთებინა, რომელზეც მხარეს თავად წარმოადგენდა, კონტროლის პალატის თანამშრომლების - შიდაგანაწესის სამსახურის უფროსის (როგორც თავად წარმოადგინა თავი), ჯიმშერ დობორჯგინიძისა და პრესსამსახურის უფროსის, ფატი მამიაშვილის მხრიდან კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ კი დობორჯგინიძემ ჟურნალისტისთვის დიქტოფონის წართმევა სცადა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აუდიოჩანაწერი, აღნიშნულ კონტროლის პალატა აღნიშნულ ინციდენტს არ აღიარებს.

26 მაისს ქუთაისში თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი აღლუმის რეპეტიციის გადაღების უფლება არ მისცა **„ამერიკის ხმის“ რეპორტიორს,** ხოლო აღლუმის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის ვიდეოგადაღების უფლება **„ნეტგაზეთის“** რეპორტიორს პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელმა შეუზღუდა.

6 ივნისს კომპანია "თბილისის მიკროავტობუსმა" სამარშრუტო ტაქსებში რადიოსაშუალებებზე ხმოვანი სიგნალები გათიშა. მძღოლებს, რომლებსაც ღამით სამარშრუტო ტაქსები ღია დაატოვებინეს, დილით რადიოები მანქანებიდან ამოგლეჯილი დახვდათ. "თბილისის მიკროავტობუსმა" გაავრცელა განცხადება, რომ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქ თბილისში მგზავრთა გადაყვანას ახალი, ყვითელი მიკროავტობუსებით, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება დამოუკიდებელ იურიდიულ პირთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით, სარეკლამო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მიკროავტობუსებზე გარე რეკლამის განთავსება, ხოლო სამარშრუტო ტაქსების სალონში მონიტორების დამონტაჟება, სადაც განთავსდება სხვადასხვა ხმოვანი სარეკლამო რგოლები.

3. ზეწოლა ბიზნესზე

სიღნაღში მცხოვრებ ამერიკელს, კომპანია „ხოხბის ცრემლების“ მეპატრონეს, ჯონ ვურდემანს ტელეკომპანია „მეცხრე არხისთვის“ ფართის მიქირავებაზე უარი ათქმევინეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ჯონ ვურდემანის ცოლის ძმამ შალვა მინდორაშვილმა განუცხადა, მას შემდეგ, რაც ფართის გაქირავების თაობაზე მომზადებული დოკუმენტები სარეგისტრაციოდ საჯარო რეესტრის სააგენტოში წარადგინეს, ვურდემანს ტელეფონით დაუკავშირდნენ და გააფრთხილეს, რომ „მეცხრე არხისთვის“ ოფისის მიქირავებაზე უარი ეთქვა. „მეცხრე არხი“ ოფისს გურჯაანშიც ვერ ქირაობს. ოფისის დაქირავებაზე მესაკუთრეებთან მოლაპარაკება რამდენჯერმე შედგა, თუმცა კონტრაქტის გაფორმებამდე მათ „მეცხრე არხისთვის“ ფართის მიქირავებაზე უარი თქვეს.[73]

[73] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14938&lang=geo

„ქართული ოცნების“ მიერ დაქირავებული ხელოსნები, რომლებმაც კოალიციის ახმეტის ოფისში სარემონტო სამუშაოები უნდა ჩაატარონ და რამდენიმე დღის განმავლობაში ახმეტის რაიონში ყოფნა უწევთ, საოჯახო სასტუმროდან გაყარეს.[74]

2012 წლის 15 ივნისს საკაბელო ოპერატორი კომპანია „გლობალ TV“–ის ამერიკელი თანამფლობელი ალექსანდრე რონჟესი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში აშშ–ში გამგზავრების წინ მაშინ დააკავეს, როდესაც იგი საპასპორტო შემოწმებას გადიოდა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განაცხადა, რომ ალექსანდრე რონჟესი მოწმის სახით იკითხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც გამოძიება ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

სგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რონჟესმა 2004 წელს 180 000 ლარად თბილისში შეძენილი უძრავი ქონება 2012 წლის 8 ივნისს 3 100 000 ლარად მიყიდა შპს „ლიზინგი 21“–ს და მიღებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიტანა საბანკო ანგარიშიდან, რაც „საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საეჭვო ოპერაციას წარმოადგენს“.

„ვინაიდან მან საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას არ მოახდინა თანხის დეკლალირება, მიზანშეწონილია ალექსანდრე რონჟესი მოწმის სახით იქნეს დაკითხული“, – ნათქვამია განცხადებაში.[75]

თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 ივლისს დააკმაყოფილა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ საქართველოში შემოტანილი „დიდი ოდენობით“ სატელიტურ ანტენების დააყადაღების თაობაზე, რაც პროკურატურის თქმით, ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვას უკავშირდება.

„სატელევიზიო ანტენების უსასყიდლოდ გადაცემით ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე, 2012 წლის 20 ივნისს დაწყებული გამოძების ფარგლებში, დადგენილ იქნა,

[74] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14619&lang=geo
[75] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15021&lang=geo

რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მაესტრომ“ საქართველოში შემოიტანა დიდი ოდენობით ანტენები“, – აცხადებს პროკურატურა.

„გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ“, – აცხადებს პროკურატურა.

„გლობალ კონტაქტ კონსალტინგს“ - კომპანიას, რომელიც „გლობალ TV“–ის სახელით არის ცნობილი და მისი თანამფლობელია ბიძინა ივანიშვილის ძმა, დაუმონტაჟებელი სატელიტური ანტენები 21 ივნისს დაუყადაღეს.

ტელეკომპანია „მაესტროს“ დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განაცხადა, რომ პროკურატურის ბრალდებები „აბსურდულია“.[76]

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შპს „ბურჯის“ ქონება აუქციონზე გაიტანა მას შემდეგ, რაც კომპანიამ პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის მოტივით მასზე დაკისრებული 11 მილიონიანი ჯარიმა ვერ გადაიხადა.

აუქციონზე გატანილი ქონება შეიცავს უძრავ ქონებას თბილისსა და საჩხერეში, რომლის საერთო ფართიც 36 000 კვდრატულ მეტრს შეადგენს და სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებს, მათ შორის მსუბუქ ავტომობილებს, მიკროავტობუსებს და სატვირთო მანქანებს, ასევე ბულდოზერებს და ტრაქტორებს.[77]

თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 ივლისს დაამტკიცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ერთი დღით ადრე მიღებული გადაწყვეტილებები „ქართული ოცნების“ ლიდერთან ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული კომპანიების, შპს „ბურჯის“ და „მენეჯმენტ სერვისის“ 11 მილიონი ლარით დაჯარიმების თაობაზე.

[76] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15165&lang=geo
[77] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15224&lang=geo

საქმე ორ ეპიზოდს ეხება. პირველ შემთხვევაში შპს „ბურჯი“ 8.64 მილიონი ლარით დაჯარიმდა, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, იმის გამო, რომ კომპანიამ 54 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინა ივნისში, რომლებიც „უფასოდ“ ემსახურებოდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს.

შპს „ბურჯის“ ადვოკატებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოა და მთლიანად ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უსაფუძვლო არგუმენტებს. მათ ასევე განაცხადეს, რომ თავად ჯარიმის მოცულობაც უსაფუძვლოა და აღნიშნეს, რომ ეს მაჩვენებელი განისაზღვა არა გაწეული სატრანსპორტო მომსახურების ღირებულების საფუძველზე, არამედ 54 მანქანის საერთო ღირებულების მიხედვით.

მეორე საქმესთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 ივლისს ცალკე მოსმენის დროს განიხილა, შპს „ბურჯი“ და „მენეჯმენტ სერვისი“ 2.37 მილიონი ლარით დაჯარიმდა. სახელმწიფო აუდიტის მტკიცებით შპს „ბურჯმა“, რომლეიც „მენეჯმენტ სერვისმა“ დაიქირავა, „ქართულ ოცნების“ ოფისები გაარემონტა, მაგრამ „ხარჯის სახით მხოლოდ მიზერული თანხები აჩვენა.“ თუმცა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ წინა საქმის მსგავსად, აქაც სასამართლო მიკერძოებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სასარგებლოდ, რომელმაც, ადვოკატების თქმით, ხელოვნურად გაბერა გაწეული სარემონტო სამუშაოების რეალური ღირებულება.[78]

4. ზეწოლა კერძო მესაკუთრეებზე

თბილისის საქალაქო სასამართლომ პოლიტიკური პარტიების 17 შემომწირველი უკანონო შემოწირულობის განხორციელებაში დამნაშავედ სცნო და ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის გადაწყვეტილებით, „თავისუფალი საქართველოს“ წევრი გიორგი მოსიაშვილს 125 350 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა, მის თანაპარტიელ ალექსანდრე შალამბერიძეს – 40 250 ლარის, ირაკლი ჭუბაბრიას – 79 145 ლარის, ბადრი ცინცქილაძეს – 40 100 ლარის, კონსერვატორ ბიძინა გუჯაბიძეს – 150 000 ლარის, მის თანაპარტიელ დავით ბაციკაძეს – 135 750 ლარის, ზაალ გოგსაძეს – 60 ათასი

[78] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15138&lang=geo

ლარის, გივი რამაზაშვილს – 80 ათასი ლარის, გიგა ბუკიას– 77 250 ლარის, კახა ჩაკვეტაძეს – 93 460 ლარის, ლევან ჩიჩუას – 24 987, ავთანდილ დავითაძეს – 114 192 ლარის, ბეჟან ოდიშვილს, რომელმაც "ნაციონალურ მოძრაობას" ხუთი ათასი ლარი შესწირა – 25 000 ლარის, მაია თანიაშვილს – 24 986 ლარის, ირმა დავითაძეს – 78 365 ლარის, მარინა ნადირაძეს 57 400 ლარის, ლეილა ჩქარეულს – 20 000 ლარის.[79]

თებერვალი. ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" დედოფლისწყაროს რაიონში ოფისის გარეშე დარჩა. ოფისის მეპატრონემ „ქართულ ოცნებასთან" დადებული ხელშეკრულება ხელმოწერიდან მეორე დღესვე გააუქმა. „გამგეობასთან ახლოს მდებარე შენობაში, რომელიც სოსო უზუნაშვილს ეკუთვნის, რესპუბლიკურ პარტიას დაქირავებული გვაქვს ორი ოთახი. აქვე თავისუფალია სხვა ოთახებიც. როცა „ქართულმა ოცნებამ" ოფისის აღება გადაწყვიტა, თბილისიდან ჩამოსული წარმომადგენლები გაესაუბრნენ შენობის მეპატრონეს და სამი ოთახი იქირავეს. გააფორმეს კონტრაქტიც. მეორე დღეს, დილითვე, შენობის მეპატრონე მოვიდა. ძალიან შეწუხებული იყო, ტიროდა. მითხრა, რომ ამ სამ ოთახზე ხელშეკრულება უნდა გავაუქმოო", - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოდარ ტოკლიკიშვილმა.[80]

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (ყოფილი კონტროლის პალატის) ფინანსური მონიტორინგის საქმიანობა

12 მარტს საქართველოს რამდენიმე რეგიონში ასობით მოქალაქე დაკითხეს კონტროლის პალატის ინიციატივით. წინა დღეებში ფიზიკურ პირს მიუვიდათ უწყება, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს პროკურატურის უწყებას და ასე გამოიყურება: ***„საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური***

[79] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15139&lang=geo
[80] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14465&lang=geo

გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად. ასევე, დამატებით გაცნობებთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე, გაქვთ უფლება, გაეცნოთ საქმის მასალებს, მისცეთ ახსნა-განმარტება, წარადგინოთ მტკიცებულებანი, განაცხადოთ შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოთ ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურეობით, გაასაჩივროთ საქმის გამო მიღებული დადგენილება. საქართველოს კონტროლის პალატისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება კანონით. ახსნა-განმარტების მისაცემად უნდა მობრძანდეთ 2012 წლის 12 მარტს 12 საათზე მისამართზე: წერეთლის ქუჩა 2. 1-ელი სართული".

კონტროლის პალატის მიერ გამგეობის შენობებში დაბარებული მოქალაქეები ისე ტოვებენ იქაურობას, რომ კომენტარს არ აკეთებენ. მათი განცხადებით, ასეთი მითითება მათ კონტროლის პალატისგან აქვთ. საქმე გვაქვს ტოტალური კონტროლის მექანიზმთან, რომელიც გარდა შიშის ფაქტორისა, ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ამყოფებს ადამიანებს და აიძულებს მათ წინასაარჩევნოდ ყოველგვარ პოლიტიკურ აქტივობაზე უარი თქვან.[81]

12 მარტს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაცხადა, რომ ოპოზიციონერი ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი „ქართულ ბანკი" 822 040 ლარით დააჯარიმა პარტიების შესახებ „კანონისთვის გვერდის ავლის მიზნით განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციის ფაქტზე". ეს 2012 წელს ფინანსური სანქციების გამოყენების მეორე შემთხვევაა, რაც ჯამში ბიუჯეტის სასარგებლოდ 1 422 040 ლარის გადახდას გულისხმობს. თებერვლის ბოლოს ივანიშვილთან დაკავშირებული პირები შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდნენ.

[81] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14589&lang=geo

„ეროვნული ფორუმის“ წევრი ასმათ ათუაშვილი კონტროლის პალატის თანამშრომლებმა, საგარეჯოს გამგეობის შენობაში ***12 მარტს დაკითხეს. დაკითხვა 45 წუთს გაგრძელდა.*** „ვიდრე დამკითხავდნენ პოლიციამ გამჩხრიკა. კორიდორიდანვე დაიწყეს გაჩხრეკა, ჩანთა და ტელეფონი ჩამომართვეს. ქურთუკიც გამახდევინეს. ტანსაცმლის შიგნითაც კი შევიდნენ. ხელებით შემეხო ის გოგო, ბოდიში და ლიფის რკინებიც კი ნახა. წითელს ანთებდა და მეკითხებოდა, აქ რა გაქვსო? ვერა ხედავ, რკინაა, რა უნდა მქონდეს მეთქი. დაკითხვისას დამემუქრნენ - შენი შვილი უდედოდ დარჩება თუ ამ საქმიანობას არ შეეშვებიო“, - იხსენებს „ეროვნული ფორუმის“ წევრი ასმათ ათუაშვილი.[82]

13 მარტს *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, რამდენიმე საათის განმავლობაში, 6 პიროვნებას კონტროლის პალატის სახელით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი ვინმე კახა საჯაია კითხავდა.* კონტროლის პალატიდან რამდენიმე მოქალაქეს იდენტური შინაარსის უწყება მიუვიდა. „პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით, დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად“, - ეწერა უწყებაში, რომელიც მოქალაქეებმა 11 მარტს მიიღეს. ასეთივე შინაარსის უწყება მიუვიდა 12 მარტს, დილის საათებში, რესპუბლიკური პარტიის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის წევრს ლილი ებრალიძეს, რომელიც იხსენებს: „ძირითადად, ივანიშვილის მოქალაქეობაზე და ფინანსებზე, რამდენი აიღე ხელმოწერების შეგროვებისთვის და გაზეთ „ქართულ ოცნებას“ რომ არიგებ, ამისთვის რამდენ ლარს გიხდიანო. ვეუბნებოდი, რომ ამისთვის თანხას არ მაძლევენ და ანგარების მიზნით არ ვმუშაობ, მე ამ პარტიის წევრი ვარ, მწამს, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება და ხელფასი რომც არ მომცენ, მაინც ვიმუშავებ-მეთქი. ამის შემდეგ მითხრა, ორი უკვე დავაპატიმრე და ახლა შენი ადგილიც არისო. თუ დამაპატიმრებთ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მექნება და ისე, რას იზამთ, მთელ საქართველოს დააპატიმრებთ-მეთქი. შემეპასუხა - რა, მთელი

[82] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14613&lang=geo

საქართველო ხართ უკვეო? კი, „ნაციონალების“ და თქვენი გამოკლებით-მეთქი - ვუთხარი“.[83]

13 მარტს კონტროლის პალატის თანამშრომლებმა საგარეჯოში „ქართული ოცნების“ 13 მხარდამჭერი ადვოკატების გარეშე დაკითხეს. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს რესპუბლიკური პარტიის საგარეჯოს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გელა კევლიშვილმა განუცხადა.[84]

რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციაში კონტროლის პალატის წარმომადგენლების მხრიდან მათი თანამშრომლების შეურაცხყოფაზე საუბრობენ. როგორც პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნონა თოლორაიამ **13 მარტს** გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ახსნა-განმარტების მისაცემად დაბარებულ პირებს საგანგებოდ ჩხრეკდნენ და სხვადასხვა სახის მითითებებს აძლევდნენ.[85]

*კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გურჯაანში **13 მარტს** უნდა დაეკითხა, მაგრამ დაკითხვა ვერ შედგა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა კონტროლის პალატისგან დაკითხვამდე საქმის მასალების გაცნობა მოითხოვეს.* **13 მარტს,** კონტროლის პალატის წარმომადგენლების მიერ რეგიონებში „ქართული ოცნების“ აქტივისტების დაკითხვასთან დაკავშირებით უწყების ხელმძღვანელმა ლევან ბეჟაშვილმა კომენტარი გააკეთა. „ხდება ინფორმაციის შემოწმება და შეგროვება, შემდეგ მათი შედარება იმ დეკლარაციებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ პარტიებს კონტროლის პალატაში აქვთ წარმოდგენილი“, - განაცხადა ბეჟაშვილმა.[86]

კონტროლის პალატის უწყება ფოთში 20-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მათ შორის, არიან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები და „ქართული ოცნების“ გაზეთების

[83] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14591&lang=geo
[84] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14596&lang=geo
[85] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14602&lang=geo
[86] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14601&lang=geo

*დარიგებაში მონაწილე აქტივისტები. ამ ფაქტთან დაკავშირებით **13 მარტს** ფოთელმა „რესპუბლიკელებმა“ ბრიფინგი გამართეს.*[87]

19 მარტს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში კონტროლის პალატის თანამშრომლემა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები ვენიკო ივანიშვილიც დაკითხეს, რომელსაც კოალიაცია „ქართულ ოცნებასთან“ კავშირი არ აქვს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ვენიკო ივანიშვილის მეუღლემ ციცინო ივანიშვილმა განუცხადა, უწყება 15 მარტს მიიღეს. „ჩემი მეუღლე არცერთი პარტიის მხარდამჭერი არ არის, არც პარტიულ ღონისძიებებში მიუღია მონაწილეობა. ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერებს რომ აგროვებდნენ, მაშინ ხელი ჩვენც მოვაწერეთ განცხადებას“, - აღნიშნა ციცინო ივანიშვილმა.[88]
19 მარტს თელავში, დაკითხვიდან გამოსული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების განცხადებით, კონტროლის პალატას მათი ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის წევრების შემოსავლებიც აინტერესებდა.[89]

20 მარტს კონტროლის პალატამ „უკანონო პოლიტიკური დაფინანსების ფაქტთან დაკავშირებით“ ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილი „უკანონო დაფინანსების“ - 272 597 ლარის ათმაგი ოდენობით დააჯარიმა.[90]

*კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მარტში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის პროცესის შესწავლის შედეგად არაერთი უფლებადარღვევის ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ ნათქვამია სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის მიერ **1 მაისს** გავრცელებულ განცხადებაში.*[91]

---

[87] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14600&lang=geo
[88] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14641&lang=geo
[89] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14640&lang=geo
[90] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14650&lang=geo
[91] http://www.civil.ge/geo/article.php?id=25407

11 ივნისს ერთი საათის შუალედში თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ჯერ 126 მილიონი ლარის ჯარიმა დააკისრა, შემდეგ კი მილიარდერი პოლიტიკოსი დამატებით 22.42 მილიონი ლარით დააჯარიმა. საერთო ჯამში, „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, ივანიშვილმა 148 650 131 ლარი უნდა გადაიხადოს.

თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა კონტროლის პალატის გადაწყვეტილება, რომელიც ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს 126.22 მილიონი ლარის ჯარიმას აკისრებს.

„სივილ ჯორჯიას“ ცნობით, 126.22 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა ივანიშვილს იმ საქმესთან დაკავშირებით დაეკისრა, რომელიც კონტროლის პალატის მტკიცებით, „გლობალ TV“-ის მიერ „ამომრჩევლებისათვის მასობრივად და უსასყიდლოდ ათეულ ათასობით სატელიტური ანტენების დარიგების“ ფაქტს ეხება.

კონტროლის პალატის თქმით, „გლობალ TV“-ის მიერ ივანიშვილის ფინანსების გამოყენებით სატელიტური ანტენების უფასოდ დარიგება ასევე წარმოადგენს პარტიების შესახებ კანონის დარღვევას. კონტროლის პალატამ განაცხადა, რომ ამ ქმედებით ამომრჩევლებს 12 662 019 ლარის ღირებულების საჩუქრები დაურიგდათ და ამ თანხის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის დაკისრება მოითხოვა. თუმცა, შემდეგ ეს თანხა 126.22 მილიონ ლარამდე გაორმაგდა, ვინაიდან, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ეს კანონი ივანიშვილმა განმეორებით დაარღვია.[92]

გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ პროკურატურის გადაწყვეტილებას და მისი ანტენების დაყადაღებას უკანონოდ მიიჩნევს. კომპანია საერთაშორისო დონეზე საკუთარი უფლებების დაცვას გეგმავს - ამის შესახებ Media.Ge-ს კომპანიის წარმომადგენელმა, ზურაბ ბაზლიძემ განუცხადა.

მისი თქმით, კომპანიამ გაითვალისწინა როგორც კონტროლის პალატის, ისე აღსრულების ეროვნული ბიუროს დასკვნა და “გლობალ TV”-ს ანტენის განვადების ვადა 10-დან 6 წლამდე შეამცირა, თვიური გადასახადი კი 4-დან 5.50 ლარამდე გაზარდა.

[92] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14995&lang=geo

“მხოლოდ ამ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ განვაგრძეთ ანტენების მონტაჟი”, - ამბობს ბაზლიძე. მისი თქმით, ანტენების ძირითადი ნაწილი კომპანია “ელიტ ბურჯში” ინახებოდა.

“გლობალ კონტაქტ კონსალტინგის” დაუმონტაჟებელი ანტენების დაყადაღების გადაწყვეტილება საქართველოს პროკურატურამ , 21 ივნისს მიიღო. პროკურატურის განცხადებით, უწყებამ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო.[93]

მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის, ბიზნესმენებისა და მოქმედი ჩინოსნების გარდა, ის ადამიანებიც არიან, რომლებიც მოქმედი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს დააკავეს, როგორც ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრები.

კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ცნობით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 19 ივნისის ჩათვლით, პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი შემოწირულობა - 1 768 492 ლარი მმართველმა პარტიამ მიიღო 75 ფიზიკური პირისგან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მსხვილ შემომწირველებს შორის არიან ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მოქმედმა ხელისუფლებამ კრიმინალური ქმედებებისთვის დააკავა. მაგალითად, მმართველ პარტიას 40-40 ათასი ლარი შეწირეს ფიზიკურმა პირებმა - სერგო ლაბარტყავამ და თამაზ ჯამაგიძემ. კუდ-ის თანამშრომლებმა ისინი 2010 წლის 30 მარტს დააკავეს, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რომლებმაც, შსს-ს ინფორმაციით, მეწარმეს თაღლითურად გამოსძალეს 370 000 ლარი, რის სანაცვლოდაც პირდებოდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხების შემცირებას. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, თუმცა, როგორც კონტროლის პალატის მასალებშია მითითებული, ამ ადამიანებმა წელს სოლიდური თანხები შეწირეს

[93] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15052&lang=geo

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.[94]

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური კოალიცია “ქართულ ოცნებასთან” დაკავშირებულ პირად ცნობა და ამის, საფუძველზე მოახდინა მათი ანგარიშების დაყადაღება.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ორგანიზაცია “ქართული ფეხბურთის ქომაგის” დაჯარიმების საქმე. 2012 წლის 2 ივნისს საქართველოს კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ააიპ „ქართული ფეხბურთის ქომაგი“ სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესრულებული გადარიცხვების გზით 200 000 აშშ დოლარის ოდენობით უკანონო შემოწირულების მიღებისთვის სამართალდამრღვევად ცნო.

შესაბამისად, მონიტორინგის სამსახურმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 261 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, და 342 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე „ქართული ფეხბურთის ქომაგი“ დააჯარიმა და მისი ანგარიშები დააყადაღა.[95]

საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, ფონდ „ქომაგისთვის“ უკანონო შემოწირულობის განხორციელების მოტივით, შემოწირულობის ათმაგი ოდენობით - 900 000 ევროთი დააჯარიმა გერმანიის მოქალაქე, ბიძინა გიორგობიანი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხაზი გვინდა გავუსვათ რამდენიმე გარემოებას:

1. საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება ბიძინა გიორგობიანის „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულობის თაობაზე. ბატონი

[94] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15055&lang=geo
[95] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15238&lang=geo

გიორგობიანის, ისევე, როგორც ნებისმიერი მოქალაქის, საჯაროდ გამოთქმული პოლიტიკური შეხედულებებით შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ განცხადების ავტორის პოლიტიკურ სიმპატია-ანტიპათიაზე და ეს განცხადებები არანაირად არ წარმოადგენს ამ ადამიანის რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირის იურიდიულ მტკიცებულებას.

2. კონტროლის პალატამ 17 მაისს გაავრცელა არასწორი ინფორმაცია, როცა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ გერმანიიდან ფული გადმოირიცხა „საქართველოს კონსერვატიული პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივნის, ბიძინა გიორგობიანის მიერ, რომელიც ამავდროულად არის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი“. სახელმწიფო ორგანოებისთვის ცნობილი იყო, რომ თანხის გადმორიცხვის მომენტისათვის ბატონი ბიძინა გიორგობიანი იყო გერმანიის მოქალაქე. ხელისუფლება აცხადებს, რომ, თუკი საქართველოს მოქალაქემ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ის ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მას საქართველოს პრეზიდენტი არ მიანიჭებს ორმაგ მოქალქეობას. აქედან გამომდინარე, ბატონი ბიძინა გიორგობიანი, გერმანიის მოქალაქეობის მიღების მომენტიდან, აღარ არის საქართველოს მოქალაქე. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კი, „პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს“; შესაბამისად, ბიძინა გიორგობიანი ვერანაირად ვერ იქნებოდა რომელიმე პარტიის წევრი, რის შესახებაც თავად ბიძინა გიორგობიანმაც გააკეთა განმარტება. განცხადების გაკეთების მომენტისთვის ამის თაობაზე ცნობილი უნდა ყოფილიყო კონტროლის პალატისთვის, ან ამ საკითხის გარკვევისთვის განცხადების გაკეთებამდე უნდა მიემართა ბატონი ბიძინა გიორგობიანისთვის.

3. ბიძინა გიორგობიანი აცხადებს, რომ „შემოწირულობა გერმანულმა ფონდმა „Osteuropa – Medien & Gesselschaft“ განახორციელა და ის ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორია“. კონტროლის პალატა ამ შემთხვევაშიც არღვევს კანონს, რადგანაც ის

ვალდებულია, არა ბატონი გიორგობიანის, არამედ ამ გერმანული ფონდის მიერ ფონდ „ქომაგისთვის“ თანხის გადმორიცხვის უკანონობა დაუმტკიცოს საზოგადოებას და ჯარიმაც მას დააკისროს.

4. კონტროლის პალატამ ფონდ „ქომაგის“ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ პირად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება ბიძინა გიორგობიანის ხელმოწერით შემოწირულობის გახორციელებიდან ერთი კვირის შემდეგ, 2012 წლის 18 მაისს მიიღო, რის გამოც ბიძინა გიორგობიანს თანხის გადარიცხვის მომენტში არ შეიძლება სცოდნოდა ფონდ „ქომაგზე“ პარტიებისთვის დადგენილი შეზღუდვების გავრცელებისა და, შესაბამისად, ამ გადარიცხვის უკანონობის შესახებ. ამასთან, კონტროლის პალატამ 18 მაისის გადაწყვეტილებით დააყადაღა ფონდ „ქომაგის“ ანგარიშები, რითაც, კონტროლის პალატის გადაწყვეტილების კანონიერების აღიარების შემთხვევაშიც, არც შემომწირველს და არც შემოწირულობის მიმღებს არ დაუტოვა ე.წ. კანონდარღვევის გამოსწორების საშუალება.[96]

ზემოაღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ. საქართველოს შს სამინისტრომ 2012 წლის ივნისის თვეში განახორციელა, ამ ორგანიზაციების მხრიდან დახმარება მიღებული პირების მასობრივი დაბარებები პოლიციაში და მათი დაკითხვა. აღნიშნული ფაქტი არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგმო და გააპროტესტა.[97] ასევე ხდებოდა, აღნიშნული პირების საპენსიო ანგარიშების დაყადაღება.

აშშ–ის ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა განაცხადა: „შეწუხებული ვარ იმ ვითარებით, რომელიც ახლავს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს." „სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ნდობის

[96] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14986&lang=geo
[97] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15119&lang=geo

ამაღლებას ამ უწყების, ან კონკურენტული საარჩევნო გარემოს მიმართ“, – განაცხადა ბასმა Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარში.[98]

VII. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა და გამოიკვლია ***პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო ზეწოლის, მუქარისა და დევნის 39 შემთხვევა; ჟურნალისტების საქმიანობისთვის უკანონოდ ხელის შეშლის 10 შემთხვევა; მეწარმეებსა და კერძო მესაკუთრეებზე პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო ზეწოლის 7 შემთხვევა; აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (ყოფილი საქართველოს კონტროლის პალატის) მიერ მოქალაქეების - ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებათა წევრების, შემომწირველთა და აქტივისტების დაკითხვისა და მათი დაჯარიმების მრავალი შემთხვევა.***

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მოქმედება, რომელშიც დომინირებს მხოლოდ ერთი - სახელისუფლებო პარტია, შეიძლება ითქვას, მთლიანად მიმართულია ახალი ოპოზიციური გაერთიანების - “ქართული ოცნების” - წინააღმდეგ. 2011 წლის ოქტომბრიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა პოლიტიკური ოპოზიციური პარტიის დაარსების თაობაზე, პრობლემები შეექმნა ჯერ მას (მოქალაქეობის დაკარგვა, შემდეგ მოქალაქეობის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა და ა.შ.), ხოლო მოგვიანებით კი, როდესაც მან დააფუძნა პლიტიკური ორგანიზაცია, პრობლემები შეექმნა ამ ორგანიზაციას და მის პოლიტიკური პარტნიორებს (გაუთავებელი დაჯარიმებები და ქონების დაყადაღება). ამავე პერიოდში ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებულ კერძო იურიდიულ პირებსაც შეექმნათ პრობლემები, რაც ხშირ შემთხვევებში, ხელოვნურად იყო შექმნილი.

ახალი ოპოზიციური ცენტრის გაჩენით ნაკარნახევი იყო პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობაში და სისხლის სამართლის კოდექსში, აგრეთვე,

[98] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14625&lang=geo

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და ახალ საარჩევნო კოდექსში (რომელიც მიღებული იქნა 2011 წლის 28 დეკემბერს), 2011 წლის დეკემბერში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მიმართული იყო, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესებში დიდი ფინანსების მოძრაობის შესაზღუდად.

მიუხედავად იმისა, რომ, თავისთავად, ამგვარი შეზღუდვების მიზანი - დიდი ფინანსური საშუალებების პოლიტიკაში შემოსვლის შეზღუდვა - მისაღებია, საკანონმდებლო ცვლილებებმა არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. საქართველოში მოღვაწე უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებები საკმაოდ რადიკალურია და რიგ შემთხვევებში, შეზღუდვები და, განსაკუთრებით კი, ამ შეზრუდვებისთვის გათვალისწინებული სანქციები არათანაზომიერი და არაადეკვატურია. ამასთან, იგივე ორგანიზაციების აზრით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები მათი ზედმეტად ფართო განმარტების საშუალებას იძლევა, რის გამოც, შესაძლებელია მათი შერჩევითი გამოყენება - ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ძირითადად, აჯარიმებს ოპოზიციურ გაერთიანებაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებსა და ამ გაერთიანების ლიდერებს. ჯარიმები შეადგენს მრავალმილიონიან თანხებს, რაც უპრეცენდენტოა საქართველოს ისტორიაში. აბსოლუტურად ყველა აღნიშნულ ჯარიმას, რომლებიც აუდიტის სამსახურის მიერ არის შეფარდებული, თითქმის უპირობოდ იზიარებენ საერთო სასამართლოები. ამასთან, ამ საქმეთა სასამართლო განხილვები მიმდინარეობს წარმოუდგენლად მოკლე დროში, რაც გაუმართლებელია გათვალისწინებული სანქციების სიმკაცრის თვალსაზრისით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკმაოდ ლოიალურია მმართველი პარტიის - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ, რაც გარკვეული ეჭვის საფუძველს უდავოდ იძლევა, განსაკუთრებით - იმ პირობებში, როდესაც მმართველ პარტიას,

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გავრცელებული კვლევების[99] თანახმად, ყველაზე მეტი შემოსავლის წყარო (შემოწირულობები) გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ვითარება არის მკვეთრად პოლარიზებული. ძირითადი ოპოზიციური გაერთიანების "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრების უდიდესი ნაწილი მიმდინარეობდა მკვეთრი დაპირისპირების ფონზე, რაც ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც გადადიოდა. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები პოლიციის უმოქმედობა, ასევე, რიგი საჯარო მოხელეების მხრიდან გამოვლენილი აგრესია ოპოზიციურად განწყობილი პიროვნებების მიმართ, რაც გამოიხატებოდა ძირითადი ოპოზიციური გაერთიანების წინასაარჩევნო შეხვედრების ჩაშლაში. ხშირად ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებსაც.[100]

წინასაარჩევნო პროცესი მიმდინარეობს ძირითადი ოპოზიციური გაერთიანების წევრთა და მომხრეთა მრავალმილიონიანი დაჯარიმებების ფონზე. ხშირად ამგვარი ჯარიმების კანონიერება ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ეჭვქვეშ არის დაყენებული. ასევე, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოები უპირობოდ იზიარებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილ ჯარიმებს, რაც უფლებადამცველ ორგანიზაციათა შეშფოთებას იწვევს. მომრავლდა ფაქტები, როდესაც უპირობოდ და საქმის ობიექტურად გამოკვლევის გარეშე, ხდება ოპოზიური გაერთიანების ფინანსურ შემომწირველთა დაჯარიმება, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ, თითქოს აღნიშნული პირები ვერ ასაბუთებენ შემოწირულობის სახით გადახდილი თანხების მოძიების წყაროს. ამასთან, ამავე პირებს, რომლებიც, სახელმწიფო ორგანოების განმარტებით, თითქოს ვერ ასაბუთებენ მათი შემოწირულობების წყაროს და ამ თანხების მოძიების შესაძლებლობებს, ეკისრებათ

[99] http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011

[100] რამდენიმე შემთხვევაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142.2-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, როგორიცაა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი პოლიტიკური შეხედულების გამო, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება. აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე და 154-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები - ადმიანის დევნა მისი პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა;

იმგვარი ჯარიმები, რომლებიც მრავალჯერ აღემატება მათ მიერ გაღებულ შემოწირულობას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამისტრაციულ პატიმრობას უფარდებენ ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში დაზარალებულ პირებს, იმ დროს, როდესაც ამ ძალადობის ინიციატორი პირები ან სრულებით თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები მათ მიმართ არიან არაადეკვატურად ლოიალურნი.

პრობლემებია ინფორმაციის საშუალებათა გავრცელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, არასახელისუფლებო ტელეკომპანიები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავისი არხების დაფარვა განახორციელონ საქართველოს რეგიონებში. მართალია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო შესწორებები, რითაც წინასაარჩევნო პერიოდში, მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 2 თვის განმავლობაში, შესაბამისი საკაბელო ოპერატორები ვალდებულნი არიან, თავიანთ მომსახურების პაკეტში შეიტანონ არასახელისუფლებო ტელეარხებიც. თუმცა, საკაბელო ოპერატორები, ძირითადად, მოქმედებენ საქართველოს მსხვილ ქალაქებში, იმ დროს, როდესაც პროვინციებში, მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტისათვის, ალტერნატიული ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებად კვლავ სატელიტური ანტენები რჩება.

ორმა არასახელისუფლებო ტელეარხმა გადაწყვიტა, შეღავათიანი განვადებით, რეგიონების მოსახლეობისათვის მიეყიდათ შესაბამისი სატელიტური ანტენები, რითაც მოსახლეობა შეძლებდა, ხელისუფლებისადმი ლოიალურ ტელე-არხებთან ერთად, მიეღო, ასევე, არასახელისუფლებო არხებიც. თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მათ მიერ შემოტანილი სატელიტური ანტენები დააყადაღა იმ მოტივით, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის მოსყიდვას. ამდენად, რეგიონებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვლავ მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ალტერნატიული ინფორმაცია. ყოველივე ამან კი, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია, ნეგატიური გავლენა იქონიოს რეგიონების ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაზე.

საარჩევნო პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში ალტერნატიულ საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კენჭისყრის დღემდე,

ინფორმირებული არჩევნის გაკეთების თვალსაზრისით, არამედ, ასევე, კენჭისყრის დღესაც და განსაკუთრებით, არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის დროს. საარჩევნო პროცესის სამართლიანობისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ინფორმირებული ამომრჩევლის არსებობა, არამედ, ასევე მთელი საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობაც, როცა არჩევნები მიმდინარეობს საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ. ყოველივე აღნიშნულის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა უმნიშვნელოვანესია, რათა ამომრჩეველს და საარჩევნო სუბიექტებს მიმდინარე არჩევნების თაობაზე შეექმნას ადეკვატური წარმოდგენა.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადება, რომლის თანახმად, ***„...სახელმწიფო შესაძლებლად მიიჩნევს, რომ გამომდინარე დემოკრატიის ინტერესიდან ჩაერთოს – ეს არის წინასაარჩევნო პერიოდი, ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდში მათ [საკაბელო ოპერატორებს და ტელევიზიებს] აქვთ ვალდებულება, რომ ეს [სავალდებულო ტრანზიტი] გააკეთონ. რაც შეეხება ნებისმიერ დანარჩენ პერიოდს, ეს არის ნებაყოფლობითი“***[101]. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე საკაბელო ოპერატორებისათვის ე.წ. “must carry”-ს პრინციპის დავალდებულებას ამართლებს “დემოკრატიის ინტერესებით”, თუმცა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული “დემოკრატიის ინტერესი” არჩევნებთან მიმართებით, არ სრულდება კენჭისყრის წინა დღეს და მისი არსებობა სავალდებულოა, ასევე, კენჭისყრის დღეს და არჩევნების შედეგების შეჯამების მთელი პროცესის პერიოდშიც, რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც, არასაარჩევნო პერიოდზე. ამდენად, სახელმწიფოში იერარქიით მეორე თანამდებობის პირის მიერ ამგვარი განცხადება არ მიგვაჩნია ამ პრობლემისადმი სერიოზულ დამოკიდებულებად.

ხშირია ადამიანის პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის შემთხვევები, განსაკუთრებით - საქართველოს რეგიონებში. ადგილი აქვს სახელმწიფო სამსახურში

[101] http://www.civil.ge/geo/article.php?id=25739

მყოფი პირების პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან განთავისუფლების ფაქტებს, განსაკუთრებით ეს შეეხება სახელმწიფო სკოლების პედაგოგებს.

ასევე ხშირია ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები. საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 48-49 მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული რესურსის ცნება, ხოლო 89-ე მუხლი კი, ამ რესურსის უკანონო გამოყენების შემთხვევაში ადგენს სპეციალურ ფინანსურ სანქციას. მიუხედავად აღნიშნულისა, ხშირ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია განსხვავება, კონკრეტული თანამდებობის პირი სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებს, თუ წინასაარჩევნო აგიტაციას ეწევა. ***სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა დონეზე დომინირებს ერთი, მმართველი პარტია - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რის გამოც, უმეტეს შემთხვევებში ძალზედ რთულია გაიმიჯნოს ხელისუფლების საქმიანობა და პოლიტიკური აგიტაცია.***

ასევე ხშირია სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების, განსაკუთრებით კი მმართველი პარტიის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიების დროს, ამომრჩეველთა სხვადასხვა საკვებით გამასპინძლების შემთხვევებიც. ამ შეხვედრების უმეტესობას აქვს დახურული ხასიათი, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათზე შესაბამისი საზოგადოებრივი კონტროლი.

ამრიგად, წინასაარჩევნო გარემო საკმაოდ დაძაბულია და ძალიან ხშირად სცდება საკანონმდებლო ჩარჩოებს. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ხშირია შესაბამისი პოლიტიკური ნების ნაკლებობა, რათა პროცესი წარიმართოს სამართლებრივ ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს წინასაარჩევნო პროცესის სამართლიანობისა და მისდამი ნდობის ხარისხზე.

აქვე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტი, არჩევნებში მოიაზრებს მთლიანად საარჩევნო პროცესს, "რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა". აქედან გამომდინარე, იმისათვის, რათა არჩევნები

ჩაითვალოს სამართლიანად, მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანი იყოს საარჩევნო პროცესის შემადგენელი ყველა ნაწილი, რომლებმაც შეიძლება, გავლენა იქონიოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევაზე. მათ შორის, სამართლიანი უნდა იყოს წინასაარჩევნო გარემოც. სამართლიანი წინასაარჩევნო პროცესის დროს გამოვლენილი თითოეული დარღვევა, საბოლოო ჯამში, ვნებს მთლიანად არჩევნების ლეგიტიმურობას და მის სამართლიანობას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 3ა, მე-2 სად., მე-4 სართ., ბინა 22

ტელ: (+995 32) 237 69 50

ფაქსი: (+995 32) 238 46 50

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-საიტი: www.hridc.org www.humanrights.ge